


5-67



ფორმულ-კვირეული უწყრბელი

№ 22

წელიწადი 800.60



მთავარი	მ	_____
სამართალი	მ	_____
კახეთი	მ	_____
საქართველო	მ	_____
საბჭოთა	მ	_____

ფასი 10 კაპ.

მორთხოვით კოოპერატიული რძე



# „ლილია“

მერძევეთა ამხანაგობა „ლილია“ თაჟისი ნაძღვილი და ჰიგიენური რძით მოინახვებ კარს  
გი ბავარი და ხელა აფართოებს თაჟის საქმეებს, რითაც შეძლება მიეცა მსურველთ  
მიწოდოს საუკეთესო რძე ბინახედ, ცხელი დაბეჭდილ ჭურჭელით.

რძის დაკვეთა შეიძლება შემდეგ ადგილებს: რედაქცია „ლილია“ Габаевский пер. № 3. და  
ქართულ სამეურნეო საზოგადოების მდივანთან: Барятинская 5.

ფრანგულ-კავკასიური  
საუაჭრო და სამრეწველო ბიურო

# „იპერია“ კარიზში

იძლევა უფელ გვარ ცნობას,  
ჰუიდის მადნეულობას და სხ.

ადრესი: Paris Faubourg Montmartre 10

33(05)  
5-67

№ 22

26 მაისი 1913 წ.

ბილეთი ხელის მფლობელისათვის  
1 წლ., — 5 მან. 6 თგ. — 2 მ.  
75 კ., 3 თგ. — 1 მ. 50 კ. — 1  
თგ. — 50 კ. სოფლის მასწავლებელთ,  
სამკითხველოებს და უმაღლეს სასწავლებლებში მოსწავლეთ დაეთმობათ 4 მან.



ქოველ კვირეული საზოგადო. ეკონომ.  
მიური და სალიბერატორო შუხნალი

რედაქცია ღიაა 10 — 3 საათ.

მისამართი: თბილისი, Габაевский пер. № 3 რედაქცია „კლდე“. დეპოზიტა: თბილისი კლდე.

**ს ა რ ჩ ე ვ ი:** გლეხთა კავშირები. — დ. ვაჩნაძისა. ქართლ-კახეთის თავ. — აზნ. საქმენი. — რ. გ — ესი. წერილი ჟამბლუდან. — ი. ანისა. მუდამ-მწვანენი. — (ჟურ. — ჟურნალ). — თარგმ. ი. სონლულაშვილისა. ქრანთკა. „თემიღ“ ერეკვა მარაქაშია. — \* \* — ს. პრესა. — ეკალისა. ქალთა სასწავლებლებში. — მ. ვ. ჯამბაკურ-ორბელიანისა. სასულიერო სემინარიისა. — ქართლელისა. საისტ. და საუთნოგრაფ. საზოგ. ანგარიშა.

იმისა თუ რანაირ „ზრუნვას“ იჩენენ გარემონი ქართველობის დაუკითხავად იმ საქმეებში, სადაც ქართველობა მეტად დაინტერესებული უნდა იყოს და ისიც თუ როგორ ეწყობა დღეს ქართული ეკონომიური ორგანიზაციების ბედი.

ყველა ქართველისათვის ცხად უნდა იყოს, რომ დღეს, როდესაც საზოგადო და საეკონომიო სარბიელზედ პირველად გამოდიან გლეხთა ორგანიზაციები საკრედიტო კოოპერატივების სახით, მათს მოწყობილობის სწორ გზაზედ დაყენებას დიდი ეროვნულ-პოლიტიკური მნიშვნელობა ეძლევა.

ქართულ კოოპერატიულ მოძრაობას, დაწყობილი პაწია საკრედიტო ამხანაგობიდან დიდ საერთო კოოპერატიულ კავშირამდე მთლიანი და ეროვნული ხასიათი უნდა მიეცეს; მით უმეტეს, რომ საქართველოს მომავალ ნაციონალურ ცხოვრების წინსვლაში კოოპერატიული ორგანიზაციები დიდ როლს ითამაშებენ. როცა პოლონეთი (პრუსიის და რუსეთის ნაწილებიც კი) იწყობდა თავის დღევანდელ მძლავრ ეკონომიურ ორგანიზაციებს, იმას წინდაწინვე გათვალისწინებული და შემუშავებული ჰქონდა მათი მოწყობის ეროვნული გეგმა, ე. ი. ყველა ეკონომიურ ორგანიზაციებს და მეტადრე გლეხებისას ღებავდა პოლონურ ფერად იქაც კი, სადაც პოლონელებში შერყეულნი იყვნენ სხვა ერებიც.

ამ მხრივ ეკონომიურ მოწყობილობას მთელი პოლონეთი გაფაციცებით თვალ-ყურს ადევნებდა; უვლიდა და თითონ ჰპატრონობდა.

### გლეხთა კავშირები

გაზეთებმა ცნობა მოგვიტანეს, რომ თბილისში მოხდა კრება საკრედიტო ამხანაგობათა მოღვაწეებისა იმის გამოსარკვევად, თუ როგორ მოეწყოს ჩვენში წვრილ საკრედიტო დაწესებულებათა საერთო კავშირი.

ჩვენ ძალიან გაგვაკვირვა ამ ცნობამ, რადგანაც ოფიციალურად არსად არ იყო გამოცხადებული ამ ფრიად მნიშვნელოვან კრების მოწვევა, მაგრამ, როგორც ბოლოს აღმოჩნდა, ეს კრება მოუხდენია რამდენიმე თბილისის რუს-მალაკნების შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობათ და მათ მოთავეებს. სხვათა შორის, უკანასკნელთ დაუდგენიათ აღძრან სახელმწიფო ბანკის წინაშე საკითხი ამიერ კავკასიის წვრილ საკრედიტო ამხანაგობათა საერთო კავშირის მოწყობისა.

ეს პატარა ფაქტი ძალიან დამახასიათებელია

საუბედუროდ, ჯერ ამას ვერ ვხედავთ ჩვენში. პირიქით, ზემოხსენებულ მოყვანილ მაგალითიდანა სჩანს, რომ ჩვენს ეკონომიურ ცხოვრებას უფრო სხვები უფლიან და ეპატრონებიან. თბილისის მალაკნები ქართლ-კახეთის საკრედიტო კოოპერაციას უკარნახებენ: თქვენი საქმე ასე უნდა მოვაწყოთო! თხოვნაც მიუერთმეფიათ მთავრობისათვის -- ამიერ კავკასიის წვრილ საკრედიტო დაწესებულებათა საერთო კავშირი მოგვიწყეო!

რა ხილია ეს, „ამიერ კავკასიის კავშირი“, რას მოუტანს იგი ჩვენს საკრედიტო კოოპერაციას, ამას დიდი ახსნაც არა სჭირია, რადგან საქართველოს, ერევნის გუბერნიის და სათათრეთის საკრედიტო ამხანაგობანი, ერთს ტაფაში მომწყვდელი, საერთო კავშირის მოწყობით მაგნებლობის შეტს არაფერს გამოიტანს. ამაზედ იქნება ლაპარაკიც არ ღირდეს, ისე შეუსაბამოა და შეუძლებელიც ამ ნაირ მთელ ამიერ კავკასიის გლეხთა სასოფლო ბანკების კავშირის მოწყობა, მაგრამ რადგანაც ამ აზრს მომხრეები ჰყავს ზოგ წრეებში და სხვანაირ ელფერსაც აძლევენ მას. იძულებულნი ვართ შემდეგ წერილებში დაწვრილებით შევებოთ და გამოვარკვიოთ ამიერ კავკასიის კავშირის იდეის მნიშვნელობა და კერძოდ გლეხთა კოოპერატიულ კავშირების მოწყობის საქმე საქართველოში.

დ. ვახნაძე.

## ქართლ-კახეთის თავ- აზნაურობის საქმენი <sup>1)</sup>

რაც უნდა სიმბატიური აზრი დაიბადოს ჩვენს საზოგადოებაში, რაც უნდა სახარბიელო იყოს მისი განხორციელება საზოგადოებრივი, ან ეროვნული თვალსაზრისით, — ჩვენი მყვირალა საზოგადოება ვერ შესძლებს ხოლმე მის სისრულეში მოყვანას, ან უსახრობისა, ან უთაურობის გამო და მაშინვე ყბად აღებულ თავ-აზნაურობას გაუწვდის ხელსა — დამეხმარეო

ესეთი მდგომარეობა სავალალოა ბევრის მხრით. ჯერ ერთი თავ-აზნაურობის თანხები დაუღვევლნი არ არიან, რომ ყველა კულტურულ საქმეს გასწვდნენ და ამით იზღუდება შემოქმედების ზრდა; მეო-

რეც, ყოველ თანხას რომელიც ისარჯება, თავისი განსაკუთრებული პოლიტიკა აქვს ვ. ი. გავლენა იმ საქმეზედ, რომელსაც ემსახურება, ეს კი სასურველი არ არის, რადგან საერთო უნდა განთავისუფლებული იყვეს ყოველგვარ დებრივი ზეგავლენისაგან.

მართალია, ქართლ-კახეთის თავ-აზნაურობა უხვად გასცემს ყველაფერს, რაც მოეხოვება, მაგრამ თუ მის გაცემულს სათანადო ნაყოფი არ გამოაქვს — იმის ბრალია, რომ თავ-აზნაურობის დახმარებას ყოველთვის ქველმოქმედური ხასიათი ჰქონდა და არც ერთ სფეროში ინიციატივას არ აღვიძებდა.

პირიქით, რაკი ფაქტიური პატრონი ყველა საქმისა თავ-აზნაურობა ხდებოდა — იგი ვერ გაუწევდა მეტოქეობას იმ ინერციულ, მომაკვდინებელ მოვლენას, რომ ყოველ საქმეში საქმის მცოდნე კი არ მკვიდრდებოდა, არამედ ნათლიმამური განწყობილება იმარჯვებდა. (ათასჯერ გაგვიგონია და კიდევაც გაიგონებთ: ესა და ეს იმიტომ უნდა ავირჩიოთ, რომ გაჭირვებულია, ოჯახის პატრონია და სხ. ასეთ-სავე საბუთს იმეორებენ თვითონ ისინიც, ვისაც ირჩევენ: ღმერთმანი, მოვაკეთებ ჩემ საქმეებს და მერე მე თვითონ დავანებებ თავსაო და სხ. ამისთანები.) ასეთი შეუწყნარებელი მოვლენა მხოლოდ იმიტომ არის შესაძლებელი, რომ თავ-აზნაურულ ფსიხოლოგიაში ჯერ ვერ შეუნათებია საღ მოსაზრებას, რომ ჯერ საქმე უნდა იყვეს და მერე პიროვნებანი; ჯერ საღი აწონ-დაწონვა მდგომარეობისა და მერე გულკეთილობა და ქველმოქმედება. თორემ ახლანდელ მდგომარეობაში ბევრჯელ ეშინიათ ორი-სამი ღარიბისათვის ლუკმის მოსპობა და ამით გვიმზადებენ ათას ღარიბ-ღატაკს, რადგან მტკიცე საფუძველს გვცლიან ხელიდან.

ამიტომ, ჩვენი ღრმა რწმენით, თავ-აზნ. თანხებს ისეთი მიმართულება უნდა მიეცეს, რომ მათი საშუალებით შეიქმნეს სრულიად დამოუკიდებელი ორგანიზაციები, საზოგადოებანი და სხ., რომელნიც ბოლოს განთავისუფლდებიან ყოველწლიური მოლოდინისაგან მოგვცემს ფულს თუ არა თავ-აზნაურობა. ესეთი ორგანიზაციები კი თავდაპირველად ეკონომიურ-კულტურული დაწესებულებანი არიან, რომელნიც არამცთუ არ უნდა ითხოვდნენ დახმარებას, არამედ თვითონ ჰქმნიდნენ საქირო ღირებულებას და ანაწილებდნენ — საზოგადოების, ერის საკეთილდღეოდ.

ასეთს ეკონომიურს ორგანიზაციებს ჩვენისთანა დაბეჩავებულ ერისათვის მით უფრო მეტი მნიშვნე-

\* ) იხ. „კლდე“ № 20, 19. •

ლობა აქვს, რომ შიგ მონაწილეთა და მშრომელთა რიცხვი თან და თან გაიზრდება, და ამით მოიზიდავს იმ ელემენტებსაც, რომელნიც ძალა-უნებურად გარე-გარე დადიან ლუკმა პურის საძებნელად; მეორეც, რასაც გაცილებით მეტი მნიშვნელობა აქვს, ასეთი ორგანიზაციების არსებობა ანვითარებს, ართულებს ცხოვრებას, ჰქმნის ხალხს და ასპარეზს ყოველ გვარ შემოქმედებისას და შესამეც—ჰქმნის ღირებულობას, სიმდიდრეს ერისას, რითაც ისე უძლურნი და ღარიბნი ვართ.

აქამდის ძირითადი პრინციპი თავ.-აზნაურობის მოქმედებისა—კულტურულ დაწესებულებათა ქველმოქმედური დახმარება იყო და ეს ბევრგზით აფერხებდა ჩვენს წინსვლელობას, რადგან ეს პატარა პალიატივი იყო და მთავარი პირობანი ცხოვრებისა, მისი უცხალი ორგანიზაცია პირვანდელ საფეხურზედ იდგა.

გხლა თავ.-აზნაურობა მოვალეა ანგარიში გაუწიოს გამოფხიზლებულ საზოგადოებას, ინტელიგენციას და ხალხთან ერთად, რომელშიაც იღვიძებს სურვილი ინტენსიური მეურნეობისა, კოოპერაციებისა, საკრედიტო და საამბანაგო დაწესებულებათა მოწყობისა, ყურადღება მიაქციოს ამ დარგსაც.

მართალია, თავ.-აზნაურობა დახმარებას უწევს სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებას, აქა იქ კოოპერატივებსაც, საზ. „კახეთს“, გორის „სინდიკატს“, და სხვა ეკონომიურ ორგანიზაციებს, მაგრამ ეს დახმარება ისევ შემთხვევითი და ქველმოქმედურია, მასში არ არის არც ძალა ინიციატივის გამომწვევი, არც გამახალისებელი სული. ყველა მიმღები, როგორც ზეცის მანანას ელის ამ დახმარებას და სხვა საშუალებათ აღარ ეძებს, აღარ ანვითარებს, არ უყენებს გვერდში; აღარ ვამბობ იმას, რომ არც ერთი მათგანი არ სდევნის, არ ეწინააღმდეგება ამ ნაჩუქარ და დაუმსახურებელს დახმარებას.

ამას ამტკიცებს არა მარტო მთელი ისტორია ამ დაწესებულებათა, უბრალო პირველ შეხვედვითი დაკვირვებაც კი.

ახალგაზრდა და დიდი მომავალის მექონი ორგანიზაციაც, ჩვენი სასოფლო-სამეურნეო საზოგადოება, ჯერ-ჯერობით ამ ქველმოქმედების იმედით არის, და ყოველ წლიურ ხარჯთ-აღრიცხვას წაუძღვარებს ხოლმე გულის მომწყვლელ სიტყვებს: თუ თავად-აზნაურობა მოგვცემს. ესეთი სიმპატიური საქმე, რომელიც ერთ-ერთ ბურჯად უნდა ჩაუდგეს ჩვენს ცხოვრებას, რომელმაც უნდა ააყვავოს ჩვენი მხარე ეკონომიურად და ფართო გზა გაუხსნას წინ-

სვლელობისაკენ—დღეს იმავე „თუ“ ზედ ჰქვია, რაც ყველა სხვა ჩენი საქმე.

საზოგადოება, პრესა და ყველგან მყოფი ერისა, რომელსაც მოქარგული ლაპარაკი-მეცხლეტი ან და ნალაპარაკევის განსახორციელებლად კი სახსარი არა აქვს—დიდის აღტაცებით მიეგება ამ საზოგადოების დაარსებას; ერთი აურ-ზაური ასტყდა მის დიად მნიშვნელობაზედ, მაგრამ თვით საზოგადოების კისაში რომ ჩაიხედოთ, მარტოოდენ ისევ თავ. აზნაურობის გროშებს თუ იბოვით. არც მცირე რიცხოვან წევრებს, არც სხვა მკოდნე ან გულშემატკივარ პირთ ამ საზოგადოებისათვის თითქმის არაფერი მოუციით... რადგან არცა აქვთ, რომ მისცენ ყვავს რა აქვს კაქკაქს რა მისცესო. აი რისთვის არის საჭირო, რომ ამ საზოგადოებამაც მარტო ქველმოქმედური დახმარე ორგანიზმის თვისებანი არ მიიღოს და მიღებული თანხანი ისეთ საქმეებს, ისეთ ორგანიზაციებს მოახმაროს, რომელნიც თავის დროზედ თვით ამ საზოგადოებასაც ასაზრდოვებენ და ფრთებს გააშლევინებენ.

მადლობა ღმერთს, ამ საზოგადოებაში არის რამდენიმე მკოდნე, ენერგიული პირი, რომელთაც უყვართ თავიანთი საქმე და კეთილ სინიდიესიერადაც აწარმოებენ მას. ამ მოკლე ხანში გამგეობამ დიდი უნარი გამოიჩინა და გააკეთა, რისიც გაკეთება შეუძლებოდა, მაგრამ მაინც მეტი ყურადღებაა საჭირო, ჩვენის აზრით, ისეთი მოქმედებისათვის, რომელიც არა მარტო მაჩვენებელია და მასწავლებელი თეორეტიულად თუ პრაქტიკულად, არამედ ნაყოფიერიც თვით საზოგადოებისათვის. პრინციპი უანგარობისა აქ მოსატანი არ არის, რადგან ეს კერძო პირთა, ან ჯგუფის საქმე კი არ არის, არამედ ეს დიდი საზოგადოებრივი და ეროვნული საქმეა, რომელმაც ღრმად უნდა გაიდვას ფესვები ხალხში და ამიტომ თვითონ უნდა იყვეს მტკიცე ნიადაგზე აგებული. განა შესაძლებელია ასეთი დიდმნიშვნელოვანი საქმე, როგორც არის ჩვენი ქვეყნის მეურნეობის ბედი—დამოკიდებული იყვეს შემთხვევით წყალობაზედ? ან ისეთი რა წყალობა შეუძლიან თავ.-აზნაურობას, რომ ჩვენს სასოფლო-სამეურნეო ბურჯს საძირკველი გაუმაგრდეს? პირიქით, როცა ეკონომიური ორგანიზაციები მტკიცეთ მოეწყობიან, როცა შემოსავალი ამ ორგანიზაციებისა თვით საზოგადოების გაფართოებას მოხმარდება—მაშინ შეეძლება მხოლოდ საზოგადოებას ენერგიული და ნაყოფიერი მოქმედება, მაშინ შეეძლება ყოველ წევრს იამაყოს თავისი საზოგადოებით, თავ-



ვისი ნამოქმედართ. გარდა ამისა, უმთავრესი ყურადღება საზოგადოებისა იქითკენ უნდა იყვეს მიქცეული, რომ შეაკავშიროს, მიიზიდოს რაც შეიძლება მეტი მუშა ხალხი სოფლად და ამისათვის საკმარისი არ არის მარტო დემონსტრაციები გუნებისა და მაშინებისა ან პლაკატები, არამედ ჩათრევა ხალხისა თვით საქმეში, მშრომელი ხალხისა, გლეხობისა. ეხლა მეტად ვრცელდება ჩვენში საკრედიტო დაწესებულებანი და ამავე დროს მეტად ნაკლები ყურადღება ექცევა იმას, თუ რაზედ უნდა იყვეს მოხმარებული ეს კრედიტი. როცა მეურნეობა დაბალი ხარისხისაა, როცა მიწა არ ანაზღაურებს დახარჯულ შრომას, მაშინ კრედიტი მარტო მეტი ვალია, უქმად დახარჯულია და არა ნაკლებ ახვევს ქსელში ადამიანს, ვიდრე მოვახშეს ვალი. ამიტომ ზნეობრივად მოვალეა, ქართული სამეურნეო საზოგადოება ყველგან პარალელურად სწვდებოდეს საკრედიტო კოოპერატივებს და თვალ-ყურს ადევნებდეს გაცემულ ფულსა, უნდა იყოლიოს იმ რაიონებში ინსტრუქტორები, კოოპერატორები, რომელნიც თანაბრად ადგენდნენ ამხანაგობათ, საზოგადოებათ, არტელებს და სხვა.

მხოლოდ ასეთი შემოქმედი ამხანაგობანი შესძლებენ ეკონომიურად წამოსწიონ ხალხი, თორემ ცალკე გაცემული კრედიტი, რომლის მოხმარება არ იცის ჩვენმა გლეხმა, ცალკე ზებირად ნათქვამი სამეურნეო ცნობანი, რომელნიც ყურს ხვდებიან და რეალურად კი ნაყოფს არ იღებენ - ვერაფერს სარგებლობას ვერ მოუტანს ჩვენს სოფელს და იმოდენა ფული თუ აუტანელ ვალად არ დააწვეება, მუქთად მაინც დაეხარჯება.

ეხლა, როცა კოოპერატიული მოძრაობა ვრცელდება ევროპასა და რუსეთში, როცა იგი მედგარ კონკურენციას უწევს კაპიტალისტურ წარმოებასაც კი, ჩვენ მოვალენი ვართ ყოველგზით ხელი შეუწყოთ ამ დიად მოვლენას ჩვენშიც, მეურნეობაში მაინც; მით უფრო, რომ ადგილობრივი პირობანი და ზოგი ჩვეულებანი პირდაპირ კოოპერაციის ელემენტებს შეიცავენ, როგორც მაგ. მოდგამობა, მაშითადი და სხ.

ჩვენთვის ეს მით უფრო საჭიროა ეხლანდელ მდგომარეობაში, რომ ბურჟუაზია, კაპიტალისტები არა გვეყვანან, რომელნიც კერძო რენტერებისათვის მაინც ჰქმნიდნენ იმ ღირებულებას, რომელიც ერსა სჭირია. ჩვენში არც მრეწველობა, არც ვაჭრობა, არც მოხმარება ისე არ არის განვითარებული, რომ ჩვენვე შეგვეძლოს მოთხოვნილებათა

დაკმაყოფილება და ამ შემთხვევაში კოოპერატიულ მოწესრიგებას ჩვენ საწარმოვო. სავაჭრო და მომხმარებელ ძალთა, უდიდესი მნიშვნელობა ექნება, როგორც აღმზრდელ და შემაერთებელ ძალთა კერძის მხრივ, და მატერიალურ კეთილდღეობის შემქმნელს მეორე მხრივ. ამხანაგობაში, კოოპერაციაში იწრთობა ხალხის სოლიდარობა და იბადება თვით-შეგნება, საკუთარ ძალთა იმედი.

ჩვენი მისწრაფება უნდა იყვეს ამიტომ, რაც შეიძლება მეტად გამოვიყენოთ აწ არსებული ორგანიზაცია თავ-აზნაურობისა, როგორც ეკონომიური წყარო, აღმომცნებელი ახალ-ახალ ეკონომიურ ძალთა.

და როცა ქვეყანა მოიფინება ნამდვილ დემოკრატიულ ორგანიზაციებით, როცა შეგვეძლება თამამად თქმა, თუ ძალა ვის ხელშია, მაშინ ვიკამათოთ იმაზედ, ვინ უფრო თავ-აზნაურული იდეოლოგია და ვინ უფრო იბრძვის ეროვნული იდეალებისათვის.

რ. გ.

### წერილი ქამბლუდან

ყველას კარგად მოეხსენება, თუ რა გაჭირვებას განიცდის ის ახალგაზრდა, რომელმაც გაათავა საშუალო სასწავლებელი და არ იცის საით წავიდეს, რა ფაკულტეტი აირჩიოს და რა გზას დაადგეს.

მე აქ არ შევეხები იმ მიზეზებს, რომელნიც აყენებენ ახალგაზრდას ამ უხერხულ მდგომარეობაში. საგანი ჩემი წერილისა სულ სხვაა. ვთქვათ ახალგაზრდამ აირჩია კიდევ რომელიმე დარგი მეცნიერებისა და ეხლა მხოლოდ ის, აქვს გადასაწყვეტი, თუ რომელ სასწავლებელში წავიდეს. თუ გადასწყვეტა რუსეთში წასვლა, მაშინ კიდევ შეუძლიან შეკრიბოს ცნობები, მაგრამ თუ საზღვარ გარედ დააპირა გამგზავრება, არის ერთ ბურჟუსში. ჰკითხავს ყველას რჩევას: ამა და ამ დარგს სად უფრო უკეთესად შეისწავლის კაცი. ერთი ალთას ჰგზავნის, მეორე ბლთას. ბოლოს ჩაიგდებს ხელში ერთ რომელიმე პროგრამას, რომელიც კარგა მოსახიბვლელად არის დაწერილი, სადაც ჩამოთვლილია გამოჩენილი პროფესორების სახელები, ლაბორატორიები, რომელიც ხან და ხან არც კი არსებობს ხოლმე, რაშიც მე თვითონ მქონდა იღბალი დავრწმუნებულიყავ და, გამოვტყდები - მოვტყუვდი კიდევ; უკეთ რომ ვსთქვათ, მომატყუა რეკლამის ხასიათით

შედგენილმა პროგრამამ, რა სიკეთესაც უხვად შეხვდება ადამიანი საზღვარ გარედ.

არა მარტო მე, არამედ სხვა კიდევ ბევრს ჩემს თანამემამულეს შეეხვდი ჩემნაირ მდგომარეობაში ჩავარდნილს.

ამნაირ გაუზომელ ნაბიჯის გადადგმა კი დიდ ზარალს აყენებს კაცს. ჯერ ერთი სულ ჰრევს კაცს გზიდან, უკარგავს ნლობას ყოველ სასწავლებლისაღმდეგ და მასთან ხომ დროსაც აკარგვინებს.

რომ ავაცდინოთ თავიდან ეს ხიფათი და ცოტათი მაინც შეღავათი მივცეთ ახალგაზრდობას ამ გაჭირვებულ მდგომარეობიდან გამოსასვლელად, **საჭიროა დაარსდეს ჩვენში, რაიმე დაწესებულებასთან ცნობის მიმწვდენი ბიურო.**

ამ საქმეში, უეჭველად უნდა ფხა გამოიჩინოს იმ მოსწავლე ახალგაზრდობამ, რომელიც საზღვარ გარედ იმყოფება. ცნობები კი, ჩემის აზრით უნდა შეიკრიფოს შემდეგის გეგმით: ვთქვათ მთელ საფრანგეთში გაფანტულია 50 კაცი მეცნიერების სხვა და სხვა დარგზე. ამის ნახევარმაც არის რომ ხვა ამოიღოს და მიაწოდოს საჭირო ცნობები, ესეც დიდი საქმე იქნება.

მაგალითად, ათი მოსწავლეა სამეურნეო ფაკულტეტზე. ეს ათი ახალგაზრდა გაფანტულია საფრანგეთის სხვა და სხვა კუთხეში: გრინიონში, ნანს-ში, მომპელიეში და სხვაგან, ერთის სიტყვით იქ, სადაც კი არის სამეურნეო სასწავლებელი. მათთვის სათითაოდ დიდ შრომას არ უნდა წარმოადგენდეს დაწვრილებითი აღწერა იმ სასწავლებლისა, სადაც თვითონ სწავლობს. ეს აღწერა უნდა იყოს კარგა დაწვრილებითი. ამ აღწერაში უნდა იყოს ნახსენები რა და რა საგნებს გადიან დაწყებული პირველ კურსიდან—ბოლომდე. არა მარტო საგნების უბრალო ჩამოთვლა, არამედ ისიც, თუ რა სიფართოვით გადიან თითო საგანს. თუ არის პრაქტიკული მუშაობა, მისი დაწვრილებითი აღწერა. რაში გამოიხატება ეს მუშაობა?

ასე, ამ გვარი დაწვრილებითი აღწერა ყველა დარგის სასწავლებლებისა, ყველა ქვეყნისა, საჭიროა შეკრიბოს ცნობები, როგორც უმაღლესის, ისე საშუალო სასწავლებლების.

ამ რიგად ძალიან შეუმსუბუქდება ახალგაზრდას თავისი გზის გაკაფვა. ყველა ეს ცნობები უნდა იბეჭდებოდეს ქართულ ეურნალ-გაზეთებში. ბიუროს მოვალეობა კი იქნება თავი მოუყაროს ყველა ამ მასალას.

ამ გვარი ბიუროს დაარსება, თუ რაიმე მიზე-

ზების გამო ვერ იკისრა წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ, აგრეთვე დიდ სიძნელეს არ უნდა წარმოადგენდეს რომელიმე რედაქციისათვის.

სასურველია რომ ეს წინადადება არ დაიჩიოს მხოლოდ ცარიელ წინადადებად. ვისაც უყვარს თავისი სამშობლო, ის უნდა ცდილობდეს კიდევ მის განვითარებას, ხელი შეუწყოს მას რითაც კი შეუძლიან. ჩვენი იმედი—მომავალია. მომავალი კი—ახალგაზრდობაა და სწორედ ამ ახალგაზრდობას უნდა მოუშადოთ საჭირო ნიადაგი, რომ მან ღრმად და თავისუფლად გასდგას თავისი ფესვები.

ქამბლეს (ხელვა) სამეურნეო სასწავლებლის სტუდენტი ი.—ანი.

**რედაქციისაგან:** ჩვენი რედაქცია დიდი სიამოვნებით დაუთმობს ადგილს ასეთ ცნობებს, ვინაიდან დიდ საქმედ მიიჩნია ახალგაზრდობის სწორე გზაზე დაყენება და ნამდვილი ცოდნით მისი აღკურვა და მიმართავს ყველა საზღვარ გარედ მყოფ სტუდენტს—ასეთი ცნობების მოსაწოდებლად, ყველა დარგის სასწავლებლის შესახებ.

## მუდამ-მწვანენი

(ჯერომ კ. ჯერომისა)

მკაცრად და პირქუშად გამოიყურებიან ისინი, როცა განაფხულობით ენძელები და ზაფრანები იმოსებიან თეთრი, ყვითელი და მოლურჯო ტანსაცმელითა, როცა თვითველ შტოს ნორჩი კოკრები მზიარული და მზხინავი პატარა თვალებით მთელ ქვეყნიერებას უმზერენ და ნაზ მწვანე ფოთლებით ეგებებიან ბუნების დღესასწაულს; ყველა ხარობს ამ დროს, ისინი კი გამდგარან განზე, არაფერში ერევიან და გულგრილად დასცქერიან სი-ცოცხლით სავსეს, მჩქეფარე გარემოს.

უფრო დაღვრემილნი, უფრო უფერულნი და გახუნებულნი არიან ისინი მაშინ, როცა საუცხოვოთ შემკულ ზაფხულში ბუნება თავის უხვ კალთას იბერტყავს და აბნევს მწვანე სამეფოში თავის საჩუქრებს, როცა საყდრის გარშემო ვარდი იფურჩქნება, სათიბებში ირხევა წელამდე მოყრილი მაღალი ბაღახი და ყვავილებით აჭრელებული ველმინდორი მზიარულად გამოიყურება.

დგება შემოდგომა: ხეებს სახე უტყდებათ და ხანგადასული ქალებივით ცდილობენ თავიანთი ნაკ-

ლი ოქროსფრად და წითლად აყვავებულ ფოთლების ჩაღრით დაიფარონ: შემოსული ხილის კუნწულები ძირს ეწევიან ტოტებს და ზნიქავენ; ტყიანი გორაკები კიდევ, როგორც ცისარტყელა, ისე ევლებიან გარს ტატნობსა. თვალწინ მომაკვდავი წელიწადის დიდებული აპოთეოზი იშლება. ისინი კი არ იცვლებიან, ისევ სახედაღვრემილები და უფერულეები დგანან; თავისი მუქი მუდამ მწვანე ეკლებიანათ ისეთ შეუფერებლობას წარმოადგენენ შემოდგომობით, როგორც მდიდრის ნადიმზე ღარიბი ნათესავები. საწყლოური მორთულობა აქვთ, საწყლოური! ცხარე მზე უწვავდა ერთად-ერთ ტანსაცმელს თავისი სხივებით, წვიმები ურეცხავდნენ და ქარბუქები უწეწავდნენ ამ დაძველებულს საცოდავ ნათლეთებს!

მაგრამ სულ სხვანი არიან ისინი, როცა მოსაწყენი ზამთარი დგება, როცა ყვავილნი იხოცებიან, ბუჩქები შიშვლდებიან, ხეები ჰკარგავენ ფოთლებს და შავ ტოტებს-ლა იშვერენ რუხ ცისკენ, როცა ფრინველებისა აღარა ისმის-რა, ველ-მინდორი ჩაშავებულია და ვაზი თავისი გამხმარი უხორცო ტოტებით ქობის გამოშვერილ ნაწილებს ებლაუჭება. ბუნების იმოდენა სიფრცეში მარტო ისინი არ იცვლებიან, მთელ ტყეში მხოლოდ ისინი-ღა არიან მწვანენი და მაგრა და გულადათ უხვდებიან მკაცრ ზამთარს.

ისინი თუმცა არ ბრწყინავენ სილამიზით — მაგრამ შეუდრეკელნი და შეურყვეველნი კი არიან, ერთნაირები ყოველთვის მთელი წლის განმავლობაში, მუდამ უცვლელნი, მუდამ მწვანენი. გაზაფხული ვერ აკეკლუცებს მათს მწვანეს, ზაფხული ვერ უხრუკავს, შემოდგომა ვერ აკლებს სისალეს და ზამთარი ვერა ჰკლავს.

მადლობა ღმერთს! ქვეყანაზე, თუ ბევრნი არა, ცოტანი მაინც ხომ არიან ადამიანებ შორისაც მუდამ-მწვანენი. ეგ არის მხოლოდ რომ არა სჩანან, არ არიან მახვილი გონებისანი და მიმზიდველნი, მორიდებული ხალხია (ბუნება თავისდღეში არ გამოჰფენს ხოლმე საუკეთესო საქონელს — დალოცვილ ძველი დროის მედუქნეს მოგაგონებს.) მაგრამ სიძლიერით კი ქვეყანაზე ყველაფერსა სკარბობენ: სიცოცხლესაც, სიკვდილსაც და ბედსაც. ხან ცხოვრების ქარიშხალი გადაუვლით ხოლმე თავსა, ხან წვიმა ასველებთ, ხან კიდევ სასტიკი ყინვა უსუსხავთ სხეულს, მაგრამ ვერც ქარიშხალი აკლებთ რამეს, ვერც წვიმა, ვერცა ყინვა. მუდამ-მწვანეებს თავისებურად უყვართ მზის ბრწყინვალეობა და თავისებურადვე ხარობენ ცხოვრებდა: უბედურება ვერა ჰხრის ამ ხალხსა; სევდა და წარუბრაოდნავთ თუ მოუკუშავს ტუჩებს, თორემ შეუწყენდელ სახეს ვერ მოუღრუბლავს. ჩვენი მზიან მსუბუქებას ვერ გაუფეროვნებს მათ მწვანეს უკეთესად და ჩვენი უბედურების ყინვა ვერ დაუკნობს მეგობრულ კავშირის ფოთლებსა.

აი ამგვარ მამაკაცებს და დედაკაცებს შეგვიძლიან მივინდოთ, შეგვიძლიან უშიშრად შევეკრათ ფოლადისებური მტკიცე კავშირით, მივეყრდნოთ, როგორც აბობოქრებულ ზღვაში მდგომს უღრეკელ კლდესა. მაგრამ ჩვენ აბა რაში მოგვაგონდებიან ესენი ჩვენი სიცოცხლის ზაფხულის დროსა, როცა არც გველაქუცებიან და არც გულს გვიშლიან; არც გვეთანხმებიან ხშირად და არც გვასიამოვნებენ; მჭერმეტყველობა აკლიათ, ვერ არიან კარგი გულისყურის მქონენი, უშნო მიზვრა-მოხვრა აქვთ და ძლიერ ცოტა ტაქტი. ამ ადამიანებმა როდი იციან თავის გამოჩენა ჩვენი მეგობრების წრეში: საძაგლად იცვამენ, მუდამ მოსაწყენი და უფერულნი არიან. თუ არ კლუბში, სხვაგან სადმე არც კი გვესიამოვნება მათი შეხვედრა. ესენი არ ეკუთვნიან იმ ჯურის ადამიანებს, რომლებსაც ჩვენ დიდის ამბით მივესალმებით ხოლმე მრავალრიცხოვან საზოგადოებაში. მარტო გაჭირვებაში ვაფასებთ და ვიყვარებთ ჩვენს მუდამ-მწვანე თანამოძმეებს. ჩიტებიც მარტო ზამთარში აფასებენ მუდამ-მწვანე ხეებზე ბუდეების გაკეთებასა.

კაბუკობისას ზიზლით ვუცქერდით უცხვირპირო მუდამ-მწვანე ხეებს, გვერდს ვუვლით, უჭკუო ბავშვებით მარტო თვალებით ვსაზრობთ და ზედ ვვარდებით თვითეულ ქვეტელა ყვავილს; მზადა ვართ ჩვენი ცხოვრების ბალი სადმე მყუდრო, მომხიბვლელ ადგილას გავაშენოთ და ყველა გამვლელ-გამომვლელს შურით თვალები ავუვსოთ. რაღა თქმა უნდა, ბალს მარტო ვარდებით და კრინებით შევამკობდით; სახლის ბანი კიდევ კავიანი მცენარეებით გვექნებოდა მოდებული. გახუჩებული და სურნელოვანი იქნებოდა ყველაფერი ჩვენ ბაღში; ბრწყინვალე მზიან დღესა ნაზი სიო დაუბერავდა.

მაგრამ რა კანკალი აგვიტანდა ახლა, როცა აღმოსავლეთით ცივი და წვიმიანი ქარი დაგვიქროლაღდა!

ჰაი, თქვე უჭკუო გოგონებო, თქვენა, ლამაზ თავებიანო, უგუნურობით სავსე ხართ, უგუნურობით! ხშირად უთქვამთ თქვენთვის, ხშირად: გაიგონეთ, ნუ ხართ კერპები, განა ყველა კარგია





ქმარში, რაც სატრფოშია კარგია, მაგრამ ყური არ ვითხოვებით! „ღუმელივით მქშინავი საყვარელი“, მუდამ ღუმელივით არ იქშინავს. ღუმელი გაქრება. საყვარელი ქმრად გაგიხდება, „უცნაურ ფიციტ თავს მოგაბეზრებს, პატივის დაცვით გულს გაგიწყალებს, სწრაფლ ეწყინება, შურსა იძიებს“ და ბოლოს გადაიქცევა უხვირო, „ფლოსტებიან მასხარადა“. მოდით ახლა თქვენა და ულოლიავეთ ამის-თანა კაცსა! ვერც გადააკეთებ, თუ არ შეგეხანებათ, ვერც უკან დაამრუნებთ გადასახალისებლად, ვერც გაისტუმრებთ გარეთა, როცა კი გაჭირვეულდება და შეურაცხყოფას მოგაყენებთ, ვერც სახლში შე-მოიყვანთ, როცა გარე-გარე დაწყებს სიარულსა, ვერც გაითბობთ მის გვერდით თავსა სიცივეში.

არ აგინირდებით, ეხლა ის ძალიან კარგია, (ლანაზი) ისიც თუ კარგი ფერადებიანია და არა ხუნ-დება) რბილი და თბილი ხელის შეხების დროსა. მაგრამ აიტანს ცხოვრების სიდუხჭირეს? გაუძლებს ცხოვრების უკუღმართობას? ეხლა გამბედავია და მამაცი! ღვთაებრივი კულულები აყრია თავზე. რა კობტად იცვამს! (ნეტავი გაგვაგებინა გადახდილი აქვს თუ არა მკერვალის ფულა?) ოო, რა ღერ-წამისებური რხევით გიკოცნით ხელსა. რანაირ ნაზ სახელებს გეძახით! რა მაგრა მოუხვევია თქვენი წე-ლისათვის ხელი! თვალეში ნაზი ალერსი უკრთის. სიყვარულით ჩასცქერის თქვენ თვალებს.

ნეტავი მოხუცებაშიაც გაკოცვით გამხმარ და მონაოქებულ ხელზე; დაგიძახებთ ნაზად სახელებს, როცა ბავშვი ღამე დაიწყებს ღნავილს, თქვენ კიდევ ვერ დააჩუმებთ, ან, კიდევ უფრო უარესი, იძუ-ლებული იქნებით ასდგეთ და იტრიალოთ ოთახში პაწიათი ხელში? ჩაგავლებთ კია მაგრა ხელსა გა-ჭირების დღეში? ან გადმოუხეთქს თვალიდან ნაზი-ალერსის ნაკადები, როცა შემოგხედავთ უკვე ჩამ-ქრალ თვალეში?

თქვენა ჯელებო! თქვე სულელებო, როგორ-რა გგონიათ? რა ცოლობა უნდა გაგიწიოთ ცა-რიელთავა გრეხიებმა, რომლებითაც იხიბლებით, რომლებსათვისაც თავებს იხოცავთ? დიახ, ის ქა-ლი ძალიან ლამაზია და გემოიანადაც იცვამს; რა გასაკვირია მერე? მთელი თავისი გული, სული და გონება სულ ტანისამო სისაკენ აქვს მიმართული და სხვა საგანი, მიწიერ იქნება იგი თუ ზეციერი, სრულიადაც არ იზიდავს! ეხლა მეტის-მეტი სათნო-იანი, თავაზიანი და მომხიბვლელია და მერეც ასე-თივე კარგი იქნება, ისევე კარგა (იქნება უფრო უკეთესადაც) ჩაიცვამს ტანისამოსს დაქორწინების შემდეგ, როგორც დაქორწინებამდე.

მაგრამ რა, თქვენ კი ვერ ისარგებლებთ ყველა ამ მშვენიერებით და! სხვა საკმაოდ დასტკბება მისი ცქერით და ღირსებებით, თქვენ კი ვერ იქნებით; თქვენ დუქან-დუქან ირბენთ, ყველა ხარჯი თქვენ დაგაწევბათ კისერზე; მთელ საქმეს თქვენ გააკე-თებთ, თქვენი ცოლი კიდევ უცხოებს მოექცევა თავაზიანად, მეტის-მეტი მომხიბვლელი იქნება ხალ-ხში; უცბონი დაუწყებენ ცქერას, დასტკბებიან, გა-მოელაპარაკებიან, სასიამოვნო სიტყვებს ეტყვიან; თქვენ მხოლოდ უცნობ ქალებისა და მეტადრე ვა-ეების მწყალობლად იგრძნობთ თავსა, როცა უსას-ყიდლოდ ასეთ უაღრეს სიტკბობებს განაცდევინებთ, სხვა კი არაფერ შუაში იქნებით.

თქვენ არ მოგაჩერდებათ სათნოიანი თვალეები: თქვენ მარტო მოქანცულ პირისახესა, მიმქრალსა და გარინდებულ თვალებსა და გაქალარავებულ აწე-წილ და მოთელილ თმებს-და დაინახავთ; თქვენ-თვის არ გაიკეთებს ის საუცხოვო სამკაულებს; სახლში ისეთ ქუჩყიან და დაქმუქნულ ტანისამოსს ჩაიცვამს, რომელსაც თქვენი მოსაჩინებურე გოგოც არ იკადრებს.

თქვენ არ იგემებთ ცოლის ალერსის სიმშვე-ნიერეს, წილად მისი თავის ტკივილი გერგებათ; თქვენსკენ იქნება მომართული მხოლოდ ჩივილი, ბურტყუნი, გაჯავრებული გაბრუნჩვა და გაკაპასე-ბული დედაკაცის მიხეზ-მიხეზიანობა.

დიახ მუდამ-მწვანენი არ ბრწყინავენ საზოგა-დოებაში, მაგრამ სამაგიეროდ მშვიდ ოჯახურ თავ-შესაფარს კი შუქსა ჰფენენ თავისი არსებობით. კე-რას ეკედლებიან და არა ქუჩასა და კრებებს. კარ-გია სათთან ცხოვრება. მართალია ისე არა სჩანან, მაგრამ უბრალონი არიან, მშვიდნი და მტკიცენი. კარგია ცხოვრების გზაზე მათთან ერთად მოგზაუ-რობა, საიმედო ამბანაგები არიან—იცინიან და ისე ჰწლიან ქოლგას წვიმაში; ღიმილით დაიარები-ან ტალახში და ქვებზე, შეგიძლიანთ უშიშრად და-ეყრდნოთ მათ მტკიცე ხელსა, თუ მისუსტებულებს ბნელ გზაზე მოგიხდათ გავლა. მაგარი ხალხია, მა-გარი!—თამამად და მალლა უჭირავთ თავი ზამთრის ცივ ქარში!

სიმტკიცე დიდი განძია; ეს მეტ-ნაკლებობაა ძალისა და ცხვრის შორის, ადამიანსა და ლოკო-კინას შორის.

საზოგადოთ დედაკაცები მამაკაცებზე მაგრები არიან: დედაკაცს (აშკარადა გრძნობთ), როგორც ქვიტკირის, კედელს ისე შეგიძლიანთ მიეყრდნოთ, მაგრამ მამაკაცებს კი ვერა—ძალიან ცოტას იხო-

ვით მამაკაცებში ასეთს, სწორედ რომ ძაღლის თვისებებიანსა. მამაკაცები, საზოგადოთ რომ ვსთქვათ, უფრო კატებსა ჰგვანან. შეგიძლიანთ მამაკაცთან ოცი წელიწადი იცხოვროთ, შეგიძლიანთ მამაკაცი ოცი წელიწადი სთვალოთ მახლობელ ადამიანად, მაგრამ რომ სრულიად გჯეროდეთ მისი ერთგულება, ეგ თავისდღეში არ შეიძლება. თავისდღეში სწორედ ვერ გაიგებთ, თუ რა უძევთ მამაკაცებს გულში; თავისდღეში თქვენ დამშვიდებული არ იქნებით, თუ კი როგორმე თქვენმა მეზობელმა მოინდომა და გაშალა თქვენი ფეხსაწმენდი თავის სამზარეულოში.

აღარ არის, აღარ, ის სკოლები, საცა ხალხი ხასიათის სიმტკიცეს იძენდა! გაჰქრა ის დალოცვილი ძველი დრო, როცა ხალხი ომში იწვრთნებოდა, ერთგულობას სწავლობდა და მაგრდებოდა. ეხლა დაგვისწავლია რალაცეები, პრტყელ-პრტყელებს ვლასპარაკობთ ომის მავნებლობაზე და ღმერთს მადლობასაც ვწირავთ, რომ მშვიდობიან ვაჭრობის ხანაში ეცხოვრობთ და შეგიძლიან მთელი ჩვენი აზრი და ენერგია ერთმანეთის ცარცვა-გლეჯასა და მოტყუებას მოვახმაროთ. მოტყუებითა და ეშმაკობით ვიძენთ მეგობრებს; მოტყუებითა და ეშმაკობით ვამარცხებთ მტრებსა. ვინვითარებთ უარეს „ხერხიანობას“, ვიქვენებით გაიძვერობაში, ქლესაობაში და ძალიან თავი მოგვაქვს ამით. ძველად კი, როცა გაბატონებული იყო ძალა, როცა ადამიანი უფრო ლომებსა და არწივებს ჰბაძავდა, სანამ მელიებსა და ტურებსა, დიდ პატიოსნობად არ მიაჩნდათ ეგრედ წოდებული სიკეთენი—გაიძვერობა, ქლესაობა და „ხერხიანობა“ და ზიზღით უცქეროდნენ ამგვარ თვისებებს.

მე არ აგინიბრდებით, ომის საწინააღმდეგოდ ბევრი რამ ითქმის, ომი ხშირად უხერხულ მდგომარეობაში აგდებდა ადამიანსა, ეგ მართალია, მაგრამ ამასთანავე კარგ საქმესაც აკეთებდა, ბუნების დიდებულ დანიშნულებას ემსახურებოდა—ადამიანს აკეთილშობილებდა. ხალხს სიმამაცეს, სისწრაფეს და გამბედაობას ასწავლიდა, გონებას უხსნიდა, მკლავში ძალას აძლევდა. თავისი მკაცრი გაკვეთილებით ტანჯვაში ამავრებდა, სახიფათო საქმეში გულგრილობას ასწავლიდა და გაჭირვებაში მხნეობასა. მშვენიერებით სავსე რაინდობა, რიგიანობა და წესიერება ღვიძლი შვილები არიან მახინჯი ომისა.

ყველაზე უკეთესი ჯილდო, რომელიც ომმა მისცა ადამიანსა, ეს სიმტკიცეა... პირველად ხალხს

ომმა ასწავლა ერთგულობა ერთმანეთისა, ერთგულობა მოვალეობისა, დანიშნულობისა, ერთგულობა ყველაფერში, სიკვდილის ეამსაც ~~ერთგულობა~~

წამებულნი და რეფორმატორები, მათგანსურები და ხელოვნების და მეცნიერებისათვის თავდადებულნი, სულ იმ მკაცრ ადამიანების ჩამომავალნი არიან, რომელნიც სიკვდილსა და ტანჯვას დასცინოდნენ ბრძოლის ველზე და ყოველთვის ერთი და იგივეს იმეორებდნენ—ადამიანის ერთად ერთი მოვალეობა ამ ქვეყნად თავის მოვალეობის ერთგულობაა და გულმაგრობადა სხვა არაფერიო. წამებულნი წარბშეუხრელად იწოდნენ კოცონზე, მოგზაურები მედგრად ებმოდნენ ბუნებას, ეძებდნენ ახალ-ახალ ქვეყნებს, რეფორმატორები გაბედულად იბრძოდნენ და გვძენდნენ თავისუფლებას და ხელოვნებისა და მეცნიერებისათვის თავდადებულნი კიდევ მთელ თავის სიცოცხლეს მეცნიერებასა და ხელოვნებას სწირავდნენ; ხელოვნებისა და მეცნიერებისათვის ყოველნაირ დამცირებასა და სიღარიბეს იტანდნენ, არც სიმდიდრეს მოელოდნენ, არც სახელსა.

იქნება გახსოვდეთ ძველი ვიკინგის ამბავი? ვიკინგი უნდა ქრისტეს სჯულზე მოექციათ პატრები სიხარულით ფეხზე აღარ იდგნენ, მონათვლას უპირებდნენ. უცბად ვიკინგი დაფიქრდა და იკითხა: „თუ მართლა, როგორც ამბობთ, ეს ერთად ერთი გზაა ვალჰალისაკენ, მაშინ რალა უნდა ჰქნან ჩემმა ამხანაგებმა და მეგობრებმა, რომელნიც ძველ სჯულზე დაიხოცნენ, — სად უნდა წავიდნენ?“

ცოტა არ იყოს პატრებს კული მოეწვათ, მაგრამ მაინც უპასუხეს: უეჭველად ისეთ ადგილას წავლენ, რომელზედაც სულ რომ არაფერი ვსთქვათ ისა სჯობიაო.

— მაშ თუ აგრეა, — სთქვა ძველმა მეომარმა და უკან დაიხია, — მე არ მოვინათლები, ჩემ ხალხთან უნდა დავრჩე!

თავის ხალხთან ეცხოვრა, თავის ხალხთან ერთად გადაეხადნა მრავალი ომი და თავის ხალხთანვე რჩებოდა საუკუნოდ. სწორედ რომ გულასამღვრე-ვია ვიკინგის ასეთი საქციელი! მაგრამ მე მგონია, რომ მთელი ჩვენი კულტურაცა და ცივილიზაციაც კი არ იქნებოდა დასანანი, თუ რომ დაგვიბრუნდებოდა ვიკინგებისთანა ხალხის დრო.

ერთად-ერთი, თუ რამ შეგვრჩენია ისევ მაშინდელ დროისა, ეს ბულდოგია. მაგრამ რა გამოვიდა! მალე ბულდოგსაც მოეღება ბოლო. მერე, რომ იცოდეთ, რა დიდებული ძაღლია! დაღვრემილი, ჩუმი, მტკიცე ხასიათისა, საშინელი, როცა თავის მო-

ვალეობის წინა დგას და მორიდებული, როცა საქმე მართა თვითონ შეეხება.

უკეთილშობილესი და უსათნოესი ძაღლია! მთელი საძაღლეტი რომ დაიაროთ ვერსადა ნახავთ ამისთანას. შეხედულობით კი, რომ მოგახსენოთ, არ არის აგეთი; ერთი ნახვით როდი გაიგებთ, რომ კეთილი ძაღლია. ბულდოგი იმ ჯენტლმენს

მოგაგონებთ, რომელზედაც ძველებური სიმღერა ამბობს:

გაიცნობ, იტყვი კარგია, **ქარუნუშლი** არა და—დასაკარგია. **ზიგლიქოთეჰა**

ირ. სონდულაშვილი.

(შემდეგი იქნება).

# ქ რ ო ნ ი კ ა

თბილისის ქართველ მუშათა მომღერალ-მგალობ. გუნდი, დაარსებული მიხეილ კავსაძის მიერ 1912 წ.



დღეს, 26 მაისს სახალხო სახლში გაიმართება ქართული ეროვნული კონცერტი ახლად დაარსებულ მუშათა გუნდისა; მ. კავსაძის ლობჯინაძის იმღერებენ ქართლ-კახეთის სიმღერებს და აგრეთვე რაჭულს. დასასრულს—ჟონა და ფერხული.

შალი, საგინაშვილი—ბორჩალოს მაზრის თ.-აზნ. მარშალი; **ნევეტონოვი**—ინჟინერი—ტექნოლოგი; ბაქოს, კავკავის და თბილისის ქალაქის თავები და **ისა ბეგ გაჯინსკი**—ბაქ. ქალ. ხმოსანი.

საპოლიტექნიკუმო ადგილის ამომრჩევე კომისიაში, როგორც გაზეთები გადმოგვცემენ, შედიან შემდეგი პირნი: თავმჯდომარე: მეფის მოადგილის საბჭოს წევრი—**გაკელი**; წევრები: **ლემერმანი**—თავმჯდომარე თბილისის სასამართლოს დეპარტამენტის პალატისა; **სმირნოვი**—საკონტროლო პალატის გამგე; **ფეხნერი**—საექიმო ნაწილის გამგე; **ნიკოლსკი**—ვიცე-დირექტორი მეფის მოადგილის საბჭოსი; **ბლაგოვიდოვი**—დირექტორი ქალთა უმაღლეს კურსებისა; **რუდოლფი**—სამოსწავლო ოლქის მხრუნველი; **პავლოვი**—სახელმწიფო ბანკის თბ. გან. გამგე; **აფხაზი**—თბ. გუბერნიის თ.-აზნ. მარ-

საადგილ-მამულო ბანკის 24 მაისის კრებაზედ განხილულ და უკუგდებულ იქმნა მოხსენება გამგეობის უმეტესობისა, წარმოდგენილი ნაწილში რწმუნებულის დავალებით. ამ მოხსენებით კრებას სთხოვდნენ წესდების მე-100-ე მუხლის შეცვლას იმ რიგად, რომ 10% მოგებისა, რომელიც ეხლა გადადის მეორე-ხარისხოვან სათავდარიგო თანხის გასაძლიერებლად, — გადაიდოს ხოლმე თა.-აზნ. საერთო სარგებლობის თანხათა გასადიდებლად. მოხსენებას იცავდა: მ. გრუზინსკი, ნ. ყაზბეგი და გ. ჟურული მისი წინააღმდეგნი იყვნენ: დ. ფავლენიშვილი, ს. ვახვახიშვილი და სხ.

# „თემიც“ ერევა მარაქაშია

Вѣда кольпирогі...

გაზეთმა „თემმა“ კახეთის რკინის გზის შესახებ წერილი დაბეჭდა, რომელიც თავისთავად ღირსი არ არის არც პასუხისა და არც ყურადღებისა. „თემს“ დიდი ხანია აღარავინ ეკამათება და თითქმის ყველა ქართულმა გამოცემამ არა ერთხელ გამოაცხადა თავისი უკანასკნელი სურვილი მასთან ყოველივე პოლიტიკის მოსპობის შესახებ—მაგრამ ნათქვამია, თუ შთა არ მივა მაჰმადთან, მაჰმადი თითონ წავა მთასთანაო. და „თემსაც“ კვლავ აიღო თავისი ფარ-ხმალი და იერიშით მოდის ჩვენზედ. რადგან არსებითად არ შეგვხვებით მის წერილს, რაკი ჩვენთვის და ჩვენი მკითხველებისთვისაც არა საკადრის საქმედ მიგვაჩნია, გვსურს ერთი, თუ „ძმური“ არა, შორეული რჩევა მაინც მივსცეთ გაზეთს. დაგვიჯეროს, რომ არ არის ამ გაზეთის საქმე ისეთ რთულ კითხვებში ჩარევა, როგორც არის ამ ჟამად კახეთის რკინის გზა და საზოგადოთ ის რთული სოციალ-პოლიტიკური საკითხები, რომელთა ცოდვილობა ასე უყვარს მას. ჩვენის აზრით ძალიან დიდი განსხვავებაა ერთის მხრით სხვა და სხვა ტელეგრაფების შედგენასა პროტესტების ბეჭდვასა და შოთა რუსთაველის ძეგლის შესახებ „უფულო“ სურვილების გამოთქმაში და მეორეს მხრივ—ისეთის საკითხის განხილვასა, როგორც არის, ან კახეთის რკინის გზა, ან ხიზანთა საკითხი. ყველამ იცის, რომ ერთის ხელით ორი ნესვის დაჭერა არ შეიძლება და თუ გაზეთ „თემს“ ისე კარგად უხდება, თუ გინდ ისეთი ტელეგრაფის დაბეჭდვა, როგორც ამას წინად ბალმონტთან გაგზავნილი ტელეგრაფია—სრულებით არ უხდება აქციებზედ და ობლიგაციებზედ ლაპარაკი. ჩვენი ღრმა რწმენაა, რომ პიროველი უფრო შეეფერება, ვიდრე მეორე და ეს არც გასაკვირველია. „თემის“ მთელი რედაქცია ისეთ პიროთაგან შესდგება, რომელთაც, ღმერთი რომ ჰბადავდა უთხრა: აი, პური და აი წყალი, თუ გიყვარდეთ პოლიტიკას თავი დაანებეთ! მაგრამ „თემსა“ მალე დაამტკიცა, რომ ოღონდ პოლიტიკაზედ აღაპარაკე და თუ გინდ პურს ნუ აქმევ. ასე ყირამალა გადაატრიალა „თემმა“ ღვთის განგება.

აი ჩვენი აზრი გაზეთ „თემის“ შესახებ. მაგრამ ეს აზრი მარტო ჩვენი არ არის. საქართველოში თქვენ ვერ მოსძებნით ისეთ გამოცემას, რომე-

ლიც მწარე გამოცდილების შემდეგ <sup>ამავე</sup> აზრს არ დასდგომოდეს. ორშაბათი ისე არ გათენდება საქართველოში, რომ „თემმა“ რამე კვლიესწამება, რამე სიცრუე, სიხამსე და გაუგებრობა <sup>აქვე</sup> წარმოშობოს. და ეს აიხსნება სწორედ გაზეთის უპრინციპობით. ისეთი გაზეთები როგორც „თემია“ პირდაპირ მავნე ფუნქციას ეწევიან ჩვენს საზოგადოებაში. განა შესაძლებელია ისეთი გაზეთის არსებობა, რომელიც თვიდან თვე მარტოოდენ ისეთის წერილებით იკვებება, როგორც არიან თემის მეთურები. ჩვენ არ გვახსოვს ისეთი წერილი, რომელშიაც გარკვეული ყოფილიყვეს რომელიმე საჭირ-ბოროტო საკითხი. რაკი გაზეთი თავის საკუთარ აზრს მოკლებულია, იგი იძულებულია აზრთა მაკლერობა გასწიოს და სულ რაღაც კომპრომისების ძებნაშია. ეს ამას შეუერთოს, ის ამას გადააბას, შეასისხლხორცოს ორი შეურიგებელი მიმართულება და პიროქით გათიშოს რამე ორგანიული მოვლენა—აი „თემის“ კვლევა-ძიების საგანი და განა ასეთი კომპრომისული გაზეთი საარსებოა ჩვენს დროში?

„თემის“ უმთავრესი თვისება ის არის, რომ საკითხებში იგი პრინციპს ან იდეას როდი იცავს—იგი პიროვნებას იცავს. აგრეთვე როცა საჭიროა რაზედმე გალაშქრება იგი პრინციპზედ, ან იდეაზედ როდი ილაშქრებს—პიროვნებაზედ. ეს კი ნამდვილი უპრინციპობაა. როცა თავ. პ. თუმანიშვილმა კახეთის რკინის გზის დამოკიდებლობა ჩაშალა, „თემმა“ განაცხადა მე არ ვიცავ ამ დამოკიდებლობის ჩაშლას, მაგრამ ვიცავ თავ. პ. თუმანიშვილსა, როცა თავ. დ. გურამიშვილმა თავის ხელშეკრულობით ისევ აღადგინა დამოკიდებლობა კახეთის რკინის გზისა „თემი“ გაიძახის—მომხრე ვარ ხელშეკრულობისა, მაგრამ თავ. დ. გურამიშვილის წინააღმდეგი კი ვარო. ერთის სიტყვით, გაზეთ „თემისთვის“ თვით საქმე არ არსებობს, იგი ან უნდა ახტაცებული იყოს რომელიმე პიროვნებით და მაშინაც ამართლებდეს, როცა ეს პიროვნება დამნაშავეა, ან უნდა ილაშქრებდეს ამ პიროვნებაზედ, როცა ამ პიროვნებამ თავის მოქმედებით სარგებლობაც მოიტანა. რად ხდება ესა? იმატომ, რომ „თემს“ და მის მეთაურებს თვით საქმე არასოდეს არ აინტერესებთ, საქმის გაგების უნარი არა აქვთ, არა აქვთ აგრეთვე პრინციპი და გამორკვეული პროგრამა, რომელიც ერთად ერთი ხელმძღვანელი უნდა იყოს დიდ კითხვების გარჩევის დროს. „თემი“ და მისი ხელმძღვანე-

ლები ისე იქცევიან, როგორც ზერელე ხალხი, როგორც გულ კეთილი ხალხი. საკმარისია ვინმემ რომელიმე საზოგადოებას ხუთ-თუმნიანი გრამაფონი შესწიროს — „თემი“ ამისთვის ხელის მოწერას გამართავს და ზედ ერევნის მოედანზედ ძეგლს აუგებს ამ ხუთ თუმნიან ქველმოქმედს — რათა? იმიტომ, რომ გულ-კეთილია. მაგრამ საკმარისია იმავე ხუთ-თუმნიანმა ქველმოქმედმა მთელი კახეთის რკინის გზას სხვას მიჰყიდოს — იგი ვერც კი გაიგებს რა აქტია ეს რკინის გზის გაყიდვა და პირიქით ტაშს დაუკრავს დამნაშავეს. — რათა? იმიტომ, რომ დაკვირვების ნიჭი არა აქვს, არა აქვს უნარი საქმეში ღრმად ჩახედვისა. თავ. პ. თუმანიშვილმა ოდესღაც თავ-აზნაურობას სურვილები სულ წაღმა შეუბრუნა და ყირამალა დააყენა, მით რომ კახეთის რკინის გზის დამოუკიდებლობა ჩაშალა, „თემმა“ ამაზედ ხმა არ ამოიღო, ეხლა კი გამოდის და თავ. დ. გურამიშვილს საჯაროდ დამნაშავეს ეძახის და მერე რად, არ იკითხავთ? იმიტომ, რომ თავ. დ. გურამიშვილმა თუმანიშვილისაგან ჩაშლილი საქმე გამოაბრუნა. განა ამის შემდეგ „თემს“ ჭკვა მოეთხოვება?.. განა ამის შემდეგ „თემს“ უფლება აქვს საზოგადო საქმეებზედ ილაპარაკოს. განა ამის შემდეგ ყველა გაზეთი სასარგებლოა ქართველი ხალხისათვის? ჩვენ გვგონია არა და სწორედ „თემია“ ერთი იმ გაზეთთათგანი, რომელიც რუენის საზოგადოების შეგნებას, რომელიც ბურუსში ახვევს მართალ და საღ აზრს და განზრახ ან შეუგნებლად (ჩვენ უფრო ეს უკანასკნელი გვგონია) საზოგადოებაში ბოროტებას და მავნებლობას სთესავს.

\* \*

# პ რ ე ს ა

გაზ. „თემა“ № 124

დღევანდელმა უბადრუკმა ხანამ საქართველოს აჩუქა უბადრუკი შვილიც. პრესაში, ქართულ დაწესებულებებში, საზოგადო ასპარეზზედ გაჩნდნენ ხლესტაკოვები, უსაქმო მოლაყბე მექორენი. მათ არ შეუძლიანთ სერიოზულ საქმეების გამოკვლევა, ვაკეთება, მოვლა; მათი მისწრაფებაა — ისახელონ იაფი საშუალებით თავისი თავი. მათი ნამდვილი ბუნებაა — პოზა და უსაზღვრო ტყუილი. დღევანდელმა უბადრუკმა ხანამ აჩუქა საქართველოს ერთი უბადრუკი შვილიც — გაზ. „თემი“ და მისი რედაქტორი.

ამ გაზეთის ნომერი ისე არ გამოიჩინება, რომ ქართველ მკითხველს არ მოუტანოს თანა / რამე ვულგარული.

ქართველი  
ხლესტაკოვი

ტყუილი, ცილი, ჭორი  
ჭორი, ტყუილი, ცილი  
ცილი, ჭორი და ტყუილი.  
და ზედ გაფართოებული „ხლესტაკოვიშინა“. ჩემ თვალ წინ გადაშლილია უკანასკნელი ნომერი გაზ. „თემისა“.

რა არ გნებავთ აქ რომ არ იყოს! დაიწყეთ მეთაურიდამ.  
ბ. დიასამიძე ელაქუცება ცნობილ დეგენერატს ფ. მახარაძეს, რომლის ხელებზედ ჯერ ილია ჭავჭავაძის სისხლი არ გამშრალა, და ეფიცება:

„ჩვენ ძალიან კარგად ვიცით, რამ ილია ჭავჭავაძე კერძო საკუთრების პრინციპის აღმსარებელი და მისა შეურეუვლობის მომხრე იყო. ამ მხრით ილიას ჩვენმა ბევრი არ ემხრობოდა. ჩვენს შორისაც იყო დიდი განსხვავება... ოღონდაც!

ამიერიდამ ქართველ ხალხს ეცოდინება „რა დიდი განსხვავება იყო“ ილია ჭავჭავაძის და გრიგოლ დიასამიძის შორის!

საწყალი ილია!  
ბედნიერი ხლესტაკოვი!  
და ამ „განსხვავებით“ გაკადნიერებული „თემის“ რედაქტორი ურჩევს ქართველ საზოგადოებას დაუყონებლივ გაუმართოს ილია ჭავჭავაძეს სამედიცინო სასამართლო.

„ჩვენას აზრით საჭიროა ესღავე, დაუყონებლივ ჩვენმა საზოგადოებრივმა და პოლიტიკურმა ჯგუფებმა და ქართულმა პრესამ აიჩიოს სხდომა შეიქმნას იმის გამოსარკვევად, თუ რა განწყობილება და ურთიერთობა არსებობდა ილიასა და გლეხთა შორის. ამ საქმეს ესღავე უნდა შეუდგეთ, სანამ მაშინი ცნობილი არიან“.

ე. ი. სანამ ცოცხალნი არიან ილიას მორალური მკვლეელი ფ. მახარაძე და ხლესტაკოვი გ. დიასამიძე, რომელსაც რასაკვირველია ამ სასამართლოს თავმჯდომარედ აირჩევენ.

მეორე წერილი არა ნაკლებ ტიპიურია „თემის“ უბადრუკობისათვის.

იგი ეხება უკანასკნელ სათავად-აზნაურო კრებას, რომელსაც უნდა გადაეწყვიტა დიდად მნიშვნელოვანი, ჩვენთვის სამკვრდო-სასიცოცხლო საკითხი — კახეთის რკინის გზის ბატონ პატრონი ქართველობა იყოს თუ ბაქოს კაპიტალისტები?

ეს კრება ოთხ დღეს გაგრძელდა, ილაპარაკა თითქმის ოცდაათმა ორატორმა, მათ შორის ჩინებულად დაასაბუთეს ქართველების ბატონ-პატრონობის სარგებლობა— გრ. რცხილაძემ, დავ. გურამიშვილმა, დიმ. ჩოლაყაშვილმა, შალ. მესხიშვილმა და სხვ., და „თემის“ რედაქტორმა **მარტო** გრიგოლ დიასამიძის „სიტყვას“ (რალაცა განცხადებას) მიაქცია ყურადღება.

Charment!

მე დარწმუნებული ვარ, რომ მთელ ამ უშველვლელ აბდა-უბდა წერილს, სავსე ყალბ მოსაზრებით მარტო ის დანიშნულება ჰქონდა, რომ გრ. დიასამიძის „განცხადებაზე“ მიეთითებინა... და... „კლდის“ „უპრინციპობაზე“ ჯავრი ამოეყარა. წარმოიდგინეთ, ამისათვის ნ. ნიკოლაძეც კი მიიშველა, მაგრამ პატარა შეცდომით: ნიკოლაძის სიტყვები მთლად არ მოიყვანა. სათავეში კი ნიკოლაძე სწერდა:

ქართველების „გასაჭირი ისაა, რომ ვისაც ჩვენში დირსებაა ნამდვილი განათლების, სწორე ცოდნის შექმნა, ის რადი ეკარება ჩვენს მწერლობას... ესენი თითქმის ერთიანად ერთად დაუმზადებულ „მეათურების“ ხელშია“...

აი რა სიტყვა ჰქვიათმა კაცმა თქვენისთანა „გახლესტაკოვებულ“ პრესის მეათურებზე, „თავადო ღიასამიძე! და ეხლა ნათელი უნდა იყოს, თუ ჩვენი ცხოვრება ასე ხშირად „ყირამალა“ რათ დადის.


კიდევ ბევრი საინტერესო რამ შეეძლო ამოეკითხა გრ. დიასამიძეს ჰქვიათნი კაცის წიგნიდამ, მაგალითად რომ თქვენი „ხლესტაკოვისებურად“, მითომდა უკიდურესობა „კიდევ რყენის ერს, რადგანაც პოზა, ტყუება მალვია საკუთარი უფარვისობისა.

„წაკითხულს გაგება უნდა“ ამ სათაურით იწყება მესამე წერილი იმავე ბრძენ „მოკეთესი“ ქართველ მკითხველისა:

„ჟურ. „კლდე“ და გაზ. „ხმა კახეთისა“ ხიზანთა საკითხში იმ აზრის აზიან, რომ ეს საკითხი ისე გადასწედექ, რადგანც მათხნავს ქართველი ერის ინტერესებია, ე. იგი (განმარტავს „მოკეთესი“) უნდა იქმნას დაცული მამულის პატრონთა ინტერესებია (!!).

ამრიგად ქართველ ერის ინტერესები მარტო მამულის პატრონთა (თავად-აზნაურობის) ინტერესებია!

დაწერასაც სალი ჰქუა უნდა ბ. გრიგოლ დიასამიძეს „მოკეთესი“!



მაგრამ შესაძლოა რომ ეს ჰქუა როდისმე სალი გახდეს?

გონიერ და პატიოსნურ ქართველ მწერლის გზას დაადგეს?

ძალიან ვეჭვობ...

მაგალითები თვით გაზეთ „თემის“ დაბეჭდილი ფურცლებია...

ამას კი, მგონი, ბალმონტების „მზიანი საღმებიც“ ველარას უშველიან.

ეკალი.

## ქალთა სასწავლებელში

ქალთა სასწავლებლის სამზრუნველომ შემდეგი შინაარსის მოხსენება წარუდგინა ქართული გიმნაზიის გამგე კომიტეტს.

1) ქართველობა უმთავრესად მიწათმფლობელი და მიწათ მომკმედი ხალხია. მას ქალაქში ცხოვრება არ უყვარს, გული სოფლისკენ აქვს, თავის მიწას ეტანება. ამ გამოდ, როდესაც ცხოვრებას ბევრი ახალი მოთხოვნილება აქვს, ხალხი არა კმაყოფილდება სოფლის უბრალო მოუწყობელ ცხოვრებით, რითაც წინათა კმაყოფილდებოდა. მას მეტი მყურდო და ლაზათიანად მოწყობა სჭირდება. სხვა ერის ხალხი ამ გვარ ცხოვრებისთვის სარჩოს საშოვრად ზოგი ვაჭრობასა ჰკიდებს ხელსა, ზოგი ხელოსნობას იწყებს და სხვა და სხვა. ქართველი ხალხი კი მარტო მიწას ეტანება, მითი ირჩენს თავსა, მაგრამ ეს მისთვის ძნელია რაციონალურ მიწათ-მოკმედებისთვის სუსტი მომზადებისა გამო. ამ შემთხვევაში დედაკაცს მშვენივრად შეუძლიან ხელი მოჰკიდოს შინაურ მეურნეობას. მას თამამად ძალუძს ბებოსტნობის, ხილის მოყვანის, აბრეშუმის და ფუტკრის გაჩენის, ფრინველი და სხვა სასოფლო სამეურნეო დარგების გაძლოლა. რა რიგ სარგებლობას მოუტანდა ის ამით თავის ოჯახის ცხოვრების წესწყობილებას!

2) მთელი ჩვენი ახალგაზდობა გონებრივად, ხორციელად და ზნეობრივად იტანჯება-უმეტეს შემთხვევაში იმის გამო, რომ ჩვენში შინაური აღზრდა არ არის. შინ ბავშვის წესიერ განვითარებაზე ფიქრისთვის არავის სცალიან. დედას ამ საგნის

საჭიროება ან სრულებით არ ესმის, ან თუ ესმის კიდევ, მომზადება აკლია თავის მოვალეობის კეთილ სინდისიერად ასასრულებლად. და ამ დროს, ჩვენის ხალხის დღევანდელ მდგომარეობაში, რადიკალ საჭირონი არიან მომზადებული დედები, ვის კეთილ-გავლენის ქვეშ აღიზარდებოდა ჩვენი ახალთაობა; რა ნაირად გვჭირიან ისეთი დედები, რომელთაც შესძლებოდათ თავის შვილების აღზრდა და გრძობათა კეთილად წარმართვა, ამიტომ დედაკაცი უნდა იყოს აღმზრდელი ამ სიტყვების ფართო მნიშვნელობით.

3) სხვა განათლებულ ქვეყნებში დედაკაცმა უკვე იჩინა თავი საზოგადო ასპარეზზე, მწერლობაში, მასწავლებლობაში, იდეების გადაგებაში და მისი გავლენა ამ ასპარეზზე, მართლაც რომ დიდი არის. ჩვენ უფლება არა გვაქვს ავად დინოთ ამ გავლენას ჩვენი საზოგადოება, მოვუსპოთ ჩვენებურ ქალებს ამ ასპარეზზე მოქმედების საშუალება. დედაკაცს უნდა ესმოდეს საზოგადო საკითხები, საზოგადოებრივ ცხოვრების შეგნებულად ანგარიშის გაწევა უნდა შეეძლოს. სხვა არა იყოს-რა საზოგადო საკითხების უცოდინარს დედაკაცს არ შეუძლიან გონიერი დედა და ქმრის ნამდვილი მეგობარი იყოს.

4) ქალი, როგორც დედა და როგორც ცოლი, მოვალეა თაოსანი და გონიერი დიასახლისობა გასწიოს. მასზეა დამოკიდებული მთელი ოჯახის კება. მერე ვინ არ იცის რა გავლენა აქვს კარგს სმა-ჭამას ბავშვების ფიზიკურ განვითარებაზე, მოზრდილთა ჯანმრთელობაზე. ამიტომ მან მეცნიერულად უნდა იცოდეს მზარეულობა, ე. ი. უნდა იცოდეს, რა და რა საჭმელი რა და რა გავლენას ახდენს სხეულზე, რომელი შემადგენელი ნაწილი საჭმლისა უფრო სასარგებლოა (ამიტომ მან უნდა შეისწავლოს საჭმლის გავლენა სტომაქზე, ე. ი. კვების ფიზიოლოგია). დედაკაცს უნდა ესმოდეს წმინდა ჰაერის და საზოგადოდ სისუფთავეის სხეულზე გავლენა, თავის ოჯახი სრულ სისუფთავეში უნდა ჰქონდეს, ამისთვის საჭიროა ფიზიკური მუშაობა. ამიტომ უნდა ვეცადნეთ ჩვენი ქალები ფიზიკურ შრომას შევაჩვიოთ. გარდა ამისა ქალმა კრა-კერვაც უნდა იცოდეს.

5) დედაკაცმა ხელოვნებაც უნდა იცოდეს, მაგალითად: სიმღერა, მუსიკა, ხატვა და სხვა, რადგან ეს საგნები აფაჩიზებენ, აკეთილშობილებენ ადამიანის ხასიათს.

ყველა ამ მოსაზრების გამო იმ აზრს დავადექით, რომ ჩვენთვის საჭიროა ისეთი ქალთა სასწავლებელი, რომელსაც შეეძლოს ჩვენთვის ზემოაღნიშნულ ქალთა აღზრდა. განზრახული მასწავლებლის პროგრამმა არსებულ გეგმებით (პროგრამებით) შეზღუდული არ უნდა იყოს, მას თავისებური ხასიათი უნდა ჰქონდეს იმ მოთხოვნილებების მიხედვით, რასაც ვუდგენთ სასწავლებელს. მთელი გეგმა ხუთ განყოფილებად უნდა განიყოფებოდეს:

- 1) საზოგადო განმანათლებელი საგნები.
- 2) აღმზრდელი ქალის მომზადებელი საგნები.
- 3) სასოფლო სამეურნეო საგნები.
- 4) " სამეურნეო საგნები.
- 5) ხელოვნება.

**ზოგად განმანათლებელი საგნები:**

ანგარიში, ფიზიკა, გეოგრაფია, მსოფლიო ისტორია, მსოფლიო მწერლობა, ზუნების მეტყველება, სამღვთო სჯული, ფრანგული ენა.

**აღმზრდელ ქალის მომზადებელი საგნები:**

ფიზიოლოგია, ჰიგიენა, პედაგოგია.

**სასოფლო სამეურნეო საგნები:**

მერძევეობა, მეფუტკრობა, მეაბრეშუმეობა, მეხილეობა, ფრინველთ მოშენება, მებოსტნეობა და სხვა.

**სამეურნეო საგნები:**

მზარეულობა, კრა-კერვა.

**ხელოვნება:**

სიმღერა, მუსიკა, ხატვა და სხვა.

ყველა ამას საფუძვლიად უნდა ედოს: სამშობლო ენა, სამშობლო მწერლობა და ისტორია.

ეს სასწავლებელი შესდგება სამი განყოფილებისაგან და ექვსი კლასისგან.

ქალთა სასწავლებლის სამზრუნველოს თავმჯდომარე: **მარიამ ვახტანგის ასული ჯამბაკურორბელიანისა.**

(სახალხო ვახუთი).

**სასულიერო სემინარიაში**

(12 მაისის დღესასწაულის გამო)

მეტად ძნელი და აუტანელია შედგოვის მდგომარეობა თანამედროვე ცხოვრების პირობებში. რაჩარი საიდგადა ადამიანიც უნდა იყოს იგი, შეუძლებელია, ახტიდდეს მოსწავლეთა ან მასწავლებელთა კარბორაციასთან რაიმე უსამოვნეოს და ამიტომ ვინც 12 მაისის დღესასწაულს დაესწრო სასულ. სემინარიაში, უეჭველად,

განვიფიქრობოდა იმ ერთს, უფრო ადრეც, რომელიც გამოეწვია ზეიმის მიზეზს ბ-ნ ნიკ. დიმ. მახათაძეს, რომელმაც 27 წლის განმავლობაში იფარა ხსენებულ სასწავლებელში.

ნ. დ. მახათაძე დაიბადა 1858 წ., მეცნიერული სწავლა დაამთავრა კიევის სასულიერო აკადემიაში საღვთისმეტყველო განდიდატის ხარისხით და იმავე წელს წავიდა ინსტიტუტის თანამშრომელად დაინიშნა თბილ. სასულიერო სემინარიაში, სადაც მან დატოვა 27 წელი სხვა და სხვა თანამდებობაზე. 1891 წ. ერთსა და იმავე დროს მასწავლებლობდა როგორც სემინარიაში, ისე საიუნკროს (ესლას სამხედრო) სასწავლებელში, დედამთავრის კლასურ სასწავლებელში და ქალთა მეხუთე გიმნაზიაში. 1911 წლამდე იგი სხვა და სხვა თანამდებობას ასრულებდა; ინსტიტუტორად იყო, სემინარიაში, მათემატიკის მასწავლებლად, ლოგიკისა და სხვა. 1911 წ. 8 ნოემბ. იგი დაინიშნა თბ. მეორე კომერციულ სასწავლებლის დირექტორად, ხალხი 31 დეკ. 1912 წ. მეუბის მოადგილის ძიერ სობოლოვად ამტკიცებულა ამ თანამდებობაზე. მთელს ამ ხანის განმავლობაში ნ. დ. დიმიტრი სიმბატია დაამსახურა ევკლასკან. ამიტომ იყო, რომ გამოთხოვების დროს, 12 მაისს, სემინარიის შენობაში სემინარიის ზეიმი იყო. სადარბაზოდ მოსულ სტუმრებისა, მასწავლებელთა სრულ კარპორაციისა და მთელი მასწავლებლების თანადარბაზოებით ეს დღესასწაული უფრო საზეიმო გახდა მაშინ, როდესაც მკვლავი სიტუაცია წარმოიქმნა ვ. ბარნოვმა — „ბედაგოგის იდეალი“. ამ სიტუაციამ ფრთხილად ააღივსა მოდერსასწაული და აართოვებით მსახური გასცა არატორს ეს სიტუაცია იმდენად შესანიშნავია და საუფრადღებო თავის შინაარსით, რომ საჭიროდ ვსთვლით რამდენიმე მაინც გადავწყვეთ მკითხველს. აი ეს, გრძობით სავსე სიტუაცია: „საშუალო და უმაღლეს სასწავლებელში ბევრს რამეს ვგასწავლიდნენ, მაგრამ ბევრი რამე დავაფიქსეთ, ბევრი კიდევ ვერ შევასუბისეთ. ეს არის ერთგვარი მეცნიერება, რომელიც ხაკლებ გვიწავლია, ხელმოწერა, რომელშიაც ხაკლებ გვივარჯიშნია, მაშინ როდესაც მის საჭიროებას ევკლასი ვგრძობდით, ევკლასი ვხედავდით: ეს განსაკუთრებული ადრდის მეცნიერება.

„უნებში უოველისფერი სცდილობს თავისი საკუთარი სახე გააუმჯობესოს, ორგანიზულად განვითარდეს. იგი მუშაობს ემორჩილება შემოქმედის კანონებს. ამაში ჭკველის დიდი ადლო. ევკლასი ქმნილებიდან ერთად ერთი ადამიანი სდგას განმარტოვებით, ვინაიდან ბუნებრივ ადლოს მან დაურთო თავის კონებზე. მაგრამ ადამიანთა შორისაც ვხედავთ ერთ მოფლენას, რომელსაც უფრადღებოდ ვერ დავტოვებთ. უხსოვარ დროიდან

გვეურსაც და განათლებულსაც ჭკონდა სხვა და სხვა სასტუმარ ადრდისა, რომელიც უფროსად ევკლასი. ევკლასი, მაგალითად, დად რამედ მაინც, უფროსად დატკადებდა. დატკავდა, და სხვა? მაგრამ — განმარტოვებით ვერ წაველით შორსა. ათასი წლები მაქტირის და ამ უამთა მსგავლობისთან იტყვებოდა მეტადელობაც ადრდისა. მიუხ, დავად ამისა, სკენ ვერ გვიპოვინია შემართებელი ხიდი, ერთი პლატფორმა, საუოველითად მოსადერი. და ევკლას ეს ხდება არა იმიტომ, რომ ჩვენ, ადამიანებს, თავის დროზე უფრადღება არ მაგვეტყვიან ამ საგნისთვის, არამედ იმიტომ, რომ ადრდის საკითხი ერთი უდიდესი და უძნელესი პრობლემაა მთელ რიგ საკითხთა შორის, რაც კანობრიობის აზროვნებას წამოუყენებია. უხსოვარ დროიდან ეს საკითხი თითქმის ევკლასი მოაზრეს მორიგ საკითხად ჭკონდა მიხსული და შესაფერ მსახურსაც იძლეოდა სასურველ მიზნის მისაღწევად. ასე, მაგალითად, 2,500 წლის წინად პათაგორი სავაროდ ამტკიცებდა, რომ „ბარტო ხალხი თუ არსებობს, მხალხად ცუდი ადრდის გამოისახბითა.“

პლატონი ამტკიცებდა, რომ ადამიანი ცხოველებთან განსხვავდება ადრდის გამოისახბით ირჩევა. თუ ადრდა არ უოთილიყო, მაშინ იგი ევკლასი ნადარზე უფრადღება და უსასტიკესი იქნებოდა. კვინტილი, ციცერონი, სენეკა არა ხაკლებ მნიშვნელობას აძლეუდნენ ადრდის და უოველმხრით სცდილობდნენ სწორე აზრი გამეტანათ მის შესახებ. პლატონი გაიხსენებდა დიკურგისა და ნუმას კანონებს, მუდარებდა ერთმსხოსი და ცხადს ჭკოვდა, თუ რატომ იყო, რომ დიკურგის კანონებს უფრო დიდი ხნის სამტკიცე და სიციცხლე ეწერა, ვიდრე ნუმასსა. „დიკურგის კანონებს, — ამბობდა იგი, — სმარტახენი თავიანთ შვილებს დედის ძუძუსთან ერთად აწოკებდნენ და ეს უფრო აერთებდა მათ, ვიდრე რომელიმე სმღვთო თეცია. აი, ამიტომ იყო, რომ მის კანონებს 500 წლის მეტი სიციცხლე ეწერა, ვიდრე ნუმასს, რომელიც იანესის ტაძრს წარმოადგენდა. ამ ტაძრის ორივე კარი დახშული იყო იმ დრომდე, ვიდრე დარჯად თვითონ ეს მკაცრი დემონი (ნუმა) ედგა ამოღებული მახულით. მაგრამ მოკვდა თუ არა იგი, მუისვე გაირდვა კრეტსამბული და ტაძრის ორთავე კარი ღია დარჩა, რასაც მოჰყვა ომი და თვით სახელმწიფოს დაღუპვაც...“

ქრისტიანობის პირველ ხანებში ითანე აქროშირა, ბასილი დიდი, ორიგენი, იერონიმი, ავგუსტო და სხვები უდიდეს მნიშვნელობას აძლეუდნენ ადრდას, რომელსაც საფუძვლად ქრისტიანთა კულტის გვირგვინი უნდა დასდებოდა, სახელდობრ — სიყვარული...

მე-18 საუკ. გენიოსი მოაზრეხი, როგორც ცრუსი,



პესტალოტი, რაზენკანც, შიადტი, შვარცი, ჰერბარტი და სხვები, კაცობრიობის ხსნას აღზრდის სისტემის გაუმჯობესებაში ჰხდავდნენ. აღზრდა, მხოლოდ განსივრული აღზრდა მაგვიუფანს საიდულო ცხოვრებაში, მხოლოდ იგი გარდაქმნის ღვათებრივად დღევანდელს უკუდმართ სოციალურ ცხოვრების ზირობებსა.

რუსეთიც არ ჩამოაჩნა განათლებულ ევროპას. ჯერ კიდევ პეტრე დიდის დროს გაიღვიძა ამგვარმა დროულუბამ რეფორმების შემოღების სახით. ეკატერინე II ხამ ც ლკე ნაკაზი გამოსცა აღზრდის სისტემის შესრულად. „მოქალაქეობრივი კეთილდღეობა, - ვუთხულობთ ამ ნაკაზში, - მისი განსამტკიცებელი საფუძვლი არის ზნეობრივი სისპეტაკე, ხალხ ეს უკანასკნელი დამოკიდებულა აღზრდაზე“. აქ ეკატერინეს ნაკაზში განისმის მონტესკიეს ფილოსოფიის გამოძახილი, რომლის დიდი მკობარი თვითონ ეკატერინე იყო; მაგრამ ამ ჟამად ეს კი არ არის სანტერკისო, არამედ ის, რომ რუსეთშიც სწორე აღდო აიღო და ევროპეულთაგან მოაქვს ის, რაც მას სახელმწიფოს კეთილდღეობაში დაეხმარებოდა. აი, ამიტომ იყო, რომ მის საუკეთესო დევიზად ითვლებოდა: „დაე, განუბის სისპეტაკე შეტუებულ იქმნას გულის სიწმიდესთანა“.

ალექსანდრე I, ნიკოლოზ I, განსაკუთრებით ალექსანდრე II უდიდეს მნიშვნელობას აძლევდა აღზრდას, რომელსაც ზნეობითი გარდამწვევტი როლი უნდა შეესრულებინა. მასწავლებელთ აერთხილებდნენ, რომ ბავშვებისთვის დიდი უურადლება მიექციათ, ამასთანავე არც ერთი წიგნი არ დაეტოვებინათ აუხნელი, გაუკრიტიკებელი. ამან კი ის სარგებლობა მოიტანა, რომ რუსეთში ახალი პესტალოტები დაიბადნენ უძინსკისა და შიროკოვების სახით.

აღზრდის საკითხში არა ჩაკლები წილი გვიდევს ქართველობასაც. ჯერ კიდევ მე-X XII სუკ. ათონის წმინდა მონანი ზრუნავდნენ ამ საკითხის განსარკვევად. აქედან მოკიდებული რუსეთის შეკრებამდე ჩვენ გვხდებიან ისეთი ხათელი ზარაფუნებანი, როგორც არსენი იუდოთელი, გაიასი, ანტონი და მრავალნი სხვანი, რომელთა სიტუვით იფურჩქნებოდა ღვთაისმეტყველება, ფილოსოფია, იურისპრუდენცია, რაშიც თვითონ შეუენიც და ბატონიშვილებიც ესმარებოდნენ არჩილისა, თეიმურაზისა, ვახტანგისა თუ ვახუშტის სახით. სამეფო საკვარეულო და სასულიერო წოდება ხელა-ხელ ხართულნი ეწოდნენ ერის აღსაზრდელად, ასამაღლებლად. მე-XIX სუკ. აღსანიშნავია გაბრაელ ეპისკოპოსი, რომლის ქადაგებანი შემუარების სახ.თ რუსულადაც არის ხათარგმნი და კარგა ხანს სახელმძღვანელოდ იხმარებოდა ახალგაზრდობის განსწვრთხელად და აღსაზრდელად.

როგორც ხუდავთ, განულოდ საუკუნეთა სარბიელზე ადამიანის გონება ფრთხილ დარაჯივით დასტრბალებდა ამ საკითხს, მაგრამ სასურველ მიზანს ვერ მარწვას: სკოლა მშობლიურ სმას ვერა სტნობს, მშობელი სკოლისას. ამისი მიზეზი იყო და არის მასწავლებელთა მოუმზდელობა, აღზრდის საკითხის სირთულე, მისი გაშუქების სიძნელე. აქ საჭიროა მოწათის ბუნების შესწავლა, ფიზიკურისა და სულიერი მხარის შესწავლა. მაგრამ ადამიანის სულიერ მხარის შესწავლა ბევრად ძნელაა ფიზიკურისაზე. ამ სიძნელეს ჰგონობდნენ თვით ისეთი მთაზრენიც კი, როგორიც იყო ლიუტცი-ფენხერი, ანუ ჩვენ დროში—გუნდტი. ამ დასახელუბულ მწერლებამდე ადამიანის სულიერ მხარეზე მხოლოდ შეტაფიზიკური წარმოდგენა ჰქანდათ და ცხოვრების პრაქტიკულ მხარეს ნაკლებ უურადლებას აქცევდნენ. მხოლოდ მათ მიერ საკითხის გაშუქების შემდეგ რავდენადმე გავეცანიო მას. მაგრამ ესეც არა კმარა: ფიზიკოლოგია და ჰსინოლოგია სავსებით ვერ დაგვკამუთფილებს. ესენი მარტო ნიადგის კვიმზადებენ; რათა აღზრდის შეტნიერებას უფრო მტკიცე ნიადგა მოუმიზადეს. როგორ გამოვიყენოთ, რა საშუალებიდ გარდაკტციოთ ერთი ან მეორე, რომ აფითაუელ ინდივიდუუმს გამოეჭაზებულ და აღმზრდელ თილისმად აღვიაროთ - აი აღზრდის ხელოვნების ფაკუსს რა შეადგენს!

აღზრდის სირთულეს თვით რუსსიც კი ჰგონობს. იგი ითვლებული იყო ესაჭა ერთხელ; რომ ადამიანს მოედს თავის სიცოცხლეში მხოლოდ ერთის აღზრდა თუ შეუძლიათ. რა თქმა უნდა, ეს იდეალია; მაგრამ ის კი ამკარაა, რომ რუსსის ზირით ამ საკითხის შეტი სიძნელე ჰლადადებდა, როგორც საიდუმლოებათა საიდუმლოება...“

ამ სიტუვებს მოჭევა დაუსრულებელი ტაშის ცემა. მოდღესასწაულეს მთართვეს სახუქრები. კიდევ წარმოთაქვა სიტუვები მასწავლებელთა და მოსწავლეთა მხრით, რომელთაც სათითაოდ ზანუხი გარცა ბ-ნმა ნ. დ. მახათაძემ. უკანასკნელი სიტუვა აიღო რექტორმა. იგალობეს მრავალ-ჟამიერ და „კაპას“ ძახილით აიტაცეს ხელში უოფილი მასწავლებელი მასწავლებელმა და ეტლამდინ ასე ჩაიფანეს.

ქართლელი.

## ანგარიში

საქართველოს საინტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების მოქმედებისა 1912 წელს.

(მე-6 წელი)

საზოგადოების მოქმედება: საზოგადო კრებანი, მოხსენებანი, მოგზაურობანი და გამომცემანი.

ა) საანგარიში წლის განმავლობაში საზოგადოებას

ქონდა ექვსი ჩვეულებრივი და ხუთი არაჩვეულებრივი, სულ 11 საზოგადო კრება.

ბ) შემოხსენებულ კრებებზე მოხსენებანი წაიკითხეს:

1) თავმჯდომარემ ე. თაყაიშვილმა: „რას წარმოადგენდა ეგრეთ წოდებული „აფხაზთა ისტორია“, რომლითაც უსარგებლნია იერუსალიმის პატრიარქს დოსითეოსს“ (ოქმი № 55).

2) დ. გ. კარიჭაშვილმა: „საქართველოს წარმართი დემოტები ჩვენს მატრიანეში“ (ოქმი № 57).

3) ს. მ. გაჩეჩილაძემ: „ქართველ ერის სოციალური ისტორია და პსიხოლოგია ზეპირსიტყვაობის მიხედვით“ (ოქმები № № 59 და 60).

4) დეკ. კ. კეკელიძემ: „ორი კვირა გელათის მონასტერში“ (ოქმი № 62).

5) ილ. გრ. კარგარეთელმა: „ქართული საეკლესიო მუსიკა და საგალობელთა ხელნაწერები“ (ოქმი № 64).

გ) ამავე წელს საზოგადოების თავმჯდომარემ ე. თაყაიშვილმა იმოგზაურა ბორჯომის ხეობაში, შეისწავლა ამ ხეობის ნაშთები, გადაადგებია მათი გეგმები და ფოტოგრაფიული სურათები; გათხარა ბანის ხევში (ბორჯომის ხეობა) რამოდენიმე ძველი სასაფლაო და იპოვნა იშვიათი ბრინჯაოს ნივთები; გაჩხრიკა მცხეთაში ერთი ძველთა-ძველი აკლდამა და შეაგროვა ზოგი რამ მასში ნაპოვნი საყურადღებო ნივთები; ინახულა გასულ ზაფხულს კუჩუკ-ლამბატში (იალტის მახლობლათ) კნენა ელენე იაკობის ასული თარხან-მოურავისა და ჩამოიტანა მის მიერ შემოწირული ფერადებიანი სურათები და სხვა საყურადღებო საეთნოგრაფიო ნივთები. საბჭოს წევრებმა: დეკანოზმა კორნელი კეკელიძემ, ი. აბულაძემ და ს. გორგაძემ და საზოგადოების წევრმა მხატვარმა მოსე თოიძემ, საბჭოს დავალებით, იმოგზაურეს საქართველოს სხვა და სხვა კუთხეში. მამა კეკელიძემ ორ კვირას დაჰყო გელათის მონასტერში და დაწვრილებით აღწერა მისი ხელნაწერები, რომელთაც მანამდე უბრალო კატალოგიკი არა ჰქონიათ. ი. აბულაძემ იმოგზაურა ზემო იმერეთში საჩხერისაკენ; ხოლო ს. გორგაძემ მიმოიარა მდინ. ყვირილის, მარცხნივ მდებარე სოფლები სოფ. სვირიდან—ზარაგოულამდე. მხატვარმა მოსე თოიძემ იმოგზაურა დუშეთის მაზრაში და კერძოდ ხევსურეთში, სადაც შეაგროვა მრავალი საეთნოგრაფიო ნივთი და გადაიღო ჩვენი მუზეუმისათვის საეთნოგრაფიო ტიპები.—ამავე წელს საბჭოს მიერ საქართველოს სხვა და სხვა კუთხეში გაგზავნილ იქმნენ მხატვარ-ინჟინერები ძველი ტაძრების გეგმათა, განაპერთა და ფრესკების გადმოსაღებად, სახელდობრ: კალგინი, გრინევსკი, კალაშნიკოვი და დ. კაკაბაძე. კალგინმა და გრინევსკიმ გადმოიღეს ბოლნისის სიონის აღმოსავლეთი ფასადი, პითარეთის ტაძრის (აღბულადის ახლო) ფასადი, განაპერი და დეტალები, აგრეთვე ფრესკები ყინცივისის წმ. ნიკოლოზის ტაძრისა: ზაზა ციციშვილი—ფანასკეტელი და პეტრე მოციქული და პითარეთის ტაძრისა (აღბულადის მახლობლად) სახე პეტრე მოციქულისა და კარის ღვთის მშობლისა. კალაშნიკოვმა გადმოიღო გეგმები ბოდბის, ჭერემის, ხირსის, წმ. საბასი, ყოვლად წმიდისა და სხვა ტაძრისა (კახეთში) და რამოდენიმე ეკლესიისაც ბორჯომის ხეობაში. ხოლო კაკაბაძემ ორი სურათი მცხეთის სვეტიცხოვლის კედლიდან: 1) ქართლის მეფის როსტომის მეუღლე მარიამ დედოფალი

მისი ძით ოტიათურთ და 2) ვახტანგ გორგასლანი და პირველი კათალიკოზი პეტრე.

დ) საანგარიშო წელს საზოგადოების საბჭომ დაათვა „ძველი საქართველოს“ მე-II ტომის ბექტევა და განაგრძო მე-III ტომი; აგრეთვე შეუდგა „საქართველოს სიძველენის“ შემდეგი ტომების ბექტევას, რომელშიაც, სხვათა შორის იბეჭდება ქართული „შაჰ-ნამე“ ანუ „როსტომიანი“ ი. აბულაძის რედაქტორობით (იხ. საბჭოს ოქმი № 65, მუხლი 6).

**საზოგადოების ქონება: მუზეუმი, წიგნთ-საცავი და საწიგნო.**

ა) საზოგადოების მუზეუმში საანგარიშო წლის დამდევს იყო:

- 1) სარქეოლოგიო და საეთნოგრაფიო ნივთი—500, წლის განმავლობაში შემოვიდა 548, გახდა 1048;
  - 2) ქსოვილები იყო—100, წლის განმავლობაში შემოვიდა 202, გახდა 302;
  - 3) საისტორიო და საეთნოგრაფიო მხატვრობა იყო—100, წლის განმავლობაში შემოვიდა 172, გახდა 272;
  - 4) სარქეოლოგიო და საეთნოგრაფიო ალბომი იყო—38, წლის განმავლობაში შემოვიდა 4, გახდა 42.
- საანგარიშო წელს მუზეუმმა შეიძინა, აგრეთვე, მრავალი ძველი ფული.

ბ) საანგარიშო წელი განსაკუთრებით ბედნიერი გამოდგა საზოგადოების წიგნთსაცავისათვის. წლის დამდევს წიგნთსაცავში იყო 739 ხელნაწერი წიგნი, წლის დასასრულს კი ეს რიცხვი 926-მდე ავიდა; ნაბეჭდი წიგნი წლის დამდევს იყო 810 ტომი, წლის განმავლობაში შემოვიდა 2758 (ამაში 2438 ტომი თავადის პავლე ი. თუმანიშვილის მიერ შემოწირულია), გახდა სულ 3568 ტომი. საანგარიშო წელს საზოგადოებამ შეიძინა, აგრეთვე, მრავალი სიგელ-გუჯარი.

გ) საზოგადოების საწყობში საანგარიშო წელს შემოვიდა განსვენებულის ისტორიკოსის მიქელ თამარაშვილის მემკვიდრეთა მიერ შემოწირული მისი თხზულებანი: „კათოლიკობა საქართველოში“ (115 ცალი) და „პასუხად სომხის მწერლებს“ (178 ცალი). შემოვიდა აგრეთვე: „თიმსარიანი“ 450 ცალი, ნიკ. ურბნელის გამოკვლევა: „ათაბაგნი ბექა და აღბულა“—55 ცალი და ს. სულხან ორბელიანის პორტრეტი—85 ც. რაც შეეხება წინა წლიდან დარჩენილს საკუთარ გამოცემებს, ზოგი მათგანი გაიყიდა, ზოგიც ახალ წევრებს დაურიგდათ. საანგარიშო წლის დამდევს საწყობში იყო:

1. „ძველი საქართველო“ ტომი I	. 182 ცალი.
2. „საქართველოს სიძველენი“ ტომი II.	450 "
3. „საქართველოს სიძველენი“ ტომი III.	539 "
4. პალეოგრაფიული ალბომი	. 506 "
5. „თიმსარიანი“	. 450 "
6. „ათაბაგნი ბექა და აღბულა“	. 55 "
7. „კათოლიკობა საქართველოში“	. 115 "
8. „პასუხად სომხის მწერლებს“	. 178 "
9. საბა-სულხან ორბელიანის პორტრეტები	75 "

(შემდეგი იქნება).

**რედაქტორ-გამომცემელი**

**რ. გაბაშვილი.**

## !!40 ДНЕЙ БЕЗПЛАТНО!!

Если вы въ теченіе 40 дней не вычитесь свободно говорить, читать и писать по нѣмецки, французски, англійски и латински по нашимъ самоучителямъ, составленнымъ по новѣйшему методу (всѣ другіе реклама),

деньги возвращаемъ обратно.

Цѣна самоучит. одного языка съ перес. налож. платеж. 1 руб. 10 коп. 2-хъ 1 р. 90 к., 3-хъ 2 р. 80 коп., 4-хъ 3 р. 65 к. Зкзкы исполняютъ единств. складъ для всей Россіи **С.-Петербургъ.**  
Петерб. стор. Большой пр., 56-1 **Я. К. ПЕТЕРСЬ.**

### 1-е ЗАОЧНЫЕ КУЛИНАРНЫЕ КУРСЫ

Полный курсъ лекцій для самообученіе „скоромный и постный столъ“, около 100 рецептовъ кушній, напитковъ, печенья, компотовъ, вареній, сладкихъ блюдъ пироговъ и др. 300 стр. убористаго шрифта. Цѣна съ перес. нал. плат. 2 р. 60 к. **НАСТАВЛЕНІЕ**, какъ правильно вести дамшанье хозяйство и готовить экономическіе вкусные и питательные обѣды съ приложеніемъ разрѣзки мяса и украшеніемъ стола и блюдъ, около 100 стр. съ рисунками. Цѣна 1 р. 20 к. обѣ книги вмѣстѣ 3 р. 35 к. (можно марками) Съ заказами обращаться исключительно къ **Я. К. ПЕТЕРСУ.**  
С.-петерб. Петр. стор. Большой пр. № 56-1

### ПОЛЬЗУЙТЕСЬ СЛУЧАЕМЪ

Поступили въ продажу по удешевленной цѣнѣ 3 большихъ тома около 800 страницъ убористаго текста.

## ПОСМЕРТНЫЯ художественныя произведенія

гениальнаго писателя

## Л. Н. ТОЛСТОГО

Высылаемъ съ пересылкой наложеннымъ платежомъ вмѣсто 3 р. 50 к. за 2 р. 50 к. или по полученіи всей стоимости, можно марками, заказы выполняетъ единственный складъ для всей Россіи.

**СПБ., Пет. ст., Большой пр., № 56-1  
Я. К. ПЕТЕРСЬ.**

Въ настоящей мѣсяцъ кровавыхъ событій въ Турціи и на Балканахъ нѣтъ болѣе популярной и занимательной книги для чтенія, чѣмъ романъ невѣроятныхъ любовныхъ и политическихъ интригъ и разоблаченій жизни мусульманскаго Востока, столкнувшася съ цивилизаціей Запада, какъ сенсационнѣйшій романъ

## «ТУРЕЦКІЙ СУЛТАНЪ»

— ИЛИ —

### „Тайны Константинопольскаго Двора“

популярнѣйшаго въ Европѣ романиста-историка

## ГЕОРГА БОРНА.

Свыше 1.000 страницъ убористой печати большого формата на роскошной бумагѣ.

Въ виду ограниченнаго количества остающихся экземпляровъ этой занимательнѣйшей книги, предлагаемъ поспѣшить съ заказами на книгу, которая высылается **ПЕМЕДЛЕННО** по полученіи 3 руб. (съ упаковк. и пересылкою) или налож. платежомъ при задаткѣ въ 1 руб. (можно почтов. и гербов. марками), безъ чего заказы не выполняются.

Всю корреспонденцію; денежную, записную и простую надлежитъ адресовать:

**С.-ПЕТЕРБУРГЪ**

Петерб. Стор., Большой просп. № 56-1  
**А. К. ПЕТЕРСУ.**

По удешевленной цѣнѣ!

## ВРЕМЕННО РАСПРОДАЕТСЯ

Вмѣсто 10 руб. за 4 руб. 50 коп.; въ роскошномъ золотомъ тисненномъ переплетѣ 7 р. 50 к.  
**15 Томовъ больш. формата Полнаго собранія Сочин.**

## Гюи де-Мопассана

Имя Гюи де-Мопассана гремитъ славою не только среди соотечественниковъ, но и среди всего міра. Достаточно указать на отзывы **И. С. Тургенева** и **Льва Толстого**, чтобы судить о томъ высокомъ положеніи, какое Гюи де-Мопассанъ занялъ въ исторіи Всемирной литературы. Памятникъ воздвигнутъ ему въ Парижѣ краснорѣчиво говоритъ о симпатіяхъ французской націи. Его произведенія разошлись разновременна болѣе 300 изданій въ сотни тысячъ экземплярахъ и переведены на языки всего міра. Сочиненія его особенно большаго интереса представляютъ теперь, когда такъ много говорится о **ПОЛОВЫХЪ ОТНОШЕНІЯХЪ МУЖЧИНЪ и ЖЕНЩИНЪ**. Въ его романахъ читатель найдетъ разрѣшеніе этого вопроса въ изображеніи **правдивой действительности**. Книги высылаются наложеннымъ платежомъ.

Задатокъ въ размѣрѣ 2 руб. 50 коп. просиу выслать, можно марками почтовыми или гербовыми, безъ чего заказы не выполняются.

Единств. Складъ для всей Россіи **С. Петербургъ** Петерб. Сторона большой пр., 56-1  
**Я. К. ПЕТЕРСЬ.**




მოთხოვეთ ყველგან

# კოოპერატიული ღვინო




საზოგადოება „კასპი“-სა



ეზო საზოგადოება „კასპისა“: ღვინის მოტანა და გატანა

საზოგადოებას 15 წლის განმავლობაში გაუყიდა 1,000,000 ვედრო ღვინო 3,000,000 მან.

საზოგადოებას აქვს განყოფილებანი: ბაქოში, ასხაბადში, ტაშკენტში, ბათომში, მოსკოვში, არმავირში, ალექსანდროპოლში, ეკატერინოდარში.



სარდაფი „კასპისა“: ღვინის გადაღებ-გადმოღება

საზოგადოების ადრესი: თბილისი, გოგოლის ქუჩა, საზოგადოება „კასპი“

მევენახეთა საზოგადოება „კასპი“ დაარსებულია 1894 წელს. საზოგადოებაში არის 164 წევრი. „კასპის“ საზოგადოების წევრებს აქვთ 866%, დამატინა ვენახი, საიდანაც უზიდავენ საზოგადოებას ნამდვილ კასურ ღვინოს!

## ბაღა ერთობაშია!

კახელებო! ჩაეწერეთ საზოგადოების წევრებად და ამით დაიხსენით თქვენი სარჩო-საბადებელი სირაჯ-ჩარჩების ცარცვისაგან და მასთან ერთად შეუწყეთ ხელი ღვინით და საქმეში მონაწილეობით. ყოველ კახელისთვის ფრიად სასარგებლო „საზოგადოების“ გაფართოვება — გაძლიერება, მისი წევრების გაძლიერების და გამდიდრების მომასწავებელია.

უპანასკნელ დროს საზოგადოების საქმიანი მოწესრიგებული და მკვიდრად დაყენებულია.

მოითხოვეთ საზოგადოების წესდება.